ქართველობის გადასარჩენად

ილორი

№ 23 (92) 14 ივლისი 2009 სახალხო მოძრაობა "საქართველოს" ორგანო 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

"მეგრული საკითხი"

2

ლავრენტი ბერია — ქართული გენია



4



გაზეთი "ილორი" აბრძელებს წერილების ციკლის ბეჭდვას, ამჯერად უკვე მსოფლიოს უდიდეს ფეხბურთელებზე

12

სტენლი მეტიუზი

გიორგი ყაზბეგი მამა მამულისა PATER PATRIAE

5

მაფალუ

8

ამ საფუძველზე აღმოცენდა ზუგდიდის მაზრის გლეხობის იდუმალი და ინტელიგენციის წარმომადგენელთა სამართლიანი თუ აგრეთვე უსამართლო უკმაყოფილება.



გიორგი ციციშვილი

მაფალუ

(დოკუმენტები და კომენტარები)

წიგნი I

(ალტერნატივა)

„მაფალუ" მეგრული ავტონომიმსტურ-სეპარატისტული ინიციატივა კი არა, არამედ სამეგრელოს მონაპოვარით ქართული ეროვნული კულტურის გამდიდრების მცდელობა იყო



2008 წლის აგვისტოს ავანტიურის სცენარი 1996 წლის აპრილში დაიწერა

3

ხსოვნის სტრიქონები

ნაწყვეტებს მეგრულ ენაზე შექმნილი ისტორიული პოემიდან "ბულათია", რომლის ავტორი გახლავთ თავდადებული მამულიშვილი და ჭეშმარიტი პოეტი დანიელ პავლეს ძე ფიფია, გთავაზობთ გაზეთ "ილორში". 113-ე წელი ილევა პოეტის დაბადებიდან. იგი 28 წლის ასაკში შეიწირა პოლიტიკურმა უამინდობამ – სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული გულანთებული პატრიოტი 1924 წლის თებერვალში დააპატიმრეს იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი პროპაგანდისტი. დაპატიმრებისას დანიელ ფიფია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსზე სწავლობდა.

რა იყო შენი კუთხის შესახებ?

11

ამის დაკარგვის, ან დავიწყების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს!

6

ნაწყვეტები ვ.ველიჩკოს წიგნიდან "კავკასია"



კორნელი ბოროზდინი

სამეგრელო და სვანეთი

1854-1861

9

ნინო პატარიძე

7

არქეოლოგია – ეს არის მეცნიერება კაცობრიობის წაუკითხავი ისტორიის გამოსამგეურებლად, ამიტომაც სჭირდება მას განსაკუთრებული ყურადღება!

"მეგრული საკითხი"

გთავაზობთ ნაწყვეტებს ბატონების ვახტანგ გვარამიას და პროფესორ გიორგი ციციშვილის წიგნიდან "მეგრული საკითხი". რა აწუხებს სამეგრელოს გლეხობას?

იმ მიზნით, რომ უკეთ გავიაზროთ და გავიგოთ პროცესები, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობდნენ წინამდებარე წიგნის თემასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხებიდან, აუცილებელია გავეცნოთ იმ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას, რომლის პირობებშიც მომზადდა და აღმოცენდა **"მეგრული საკითხი"**, როგორც კომპარტიის წინაშე მდგარი გარდაუვალად გადასაჭრელი პრობლემა.

როგორც ცნობილია, ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ უმთავრეს ამოცანად დაისახა ძალაუფლების შენარჩუნება. ამ მიზნით კომუნისტურმა პარტიამ და ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პროლეტარულ წრეებში და გლეხობის ფართო მასებში მარქსისტულ-ლენინური იდეების პროპაგანდას. პარტია და ხელისუფლება გლეხობის მიმართ დამოკიდებულებაში მთავარ ამოცანად სახავდნენ სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობების დანერგვას და უღარიბესი მასების საარსებო პირობების დაჩქარებულ, ძირეულ გაუმჯობესებას. ლენინი საქართველოს კომუნისტებს ამოცანად უსახავდა **"დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკის"** განხორციელებას წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციისა და, განსაკუთრებით, გლეხობის მიმართ. 1923 წლის აღწერის ცნობებით გლეხობა საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტს შეადგენდა. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალი იყო საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში და მით უმეტეს საქართველოს განაპირა მხარეებში, მათ შორის სამეგრელოში. სამეგრელოს გლეხობა უკიდურეს სიღატაკეს განიცდიდა რეგიონის სამეურნეო-აგრარული სპეციფიურობის გამო. დამატებით სიძნელეებს ჰქმნიდა **"ახალი ეკონომიკური პოლიტიკა"**, რომლის გამო სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციის ფასები გლეხობისათვის აუცილებელი სამრეწველო პროდუქციის ფასებთან მკვეთრ შეუსაბამობაში აღმოჩნდა.

სამეგრელოს სოფლის მოსახლეობის უკიდურესად მძიმე მდგომარეობის შესახებ მრავალი წყარო მეტყველებს. მათ შორის თვალსაჩინოების მიზნით საყურადღებოა პავლე აკობიას 1921 წლის 9 თებერვლის წერილი ამხანაგების მიმართ. **"ამხანაგებო! – წერს იგი, – ბოდიშს ვიხდი რომ გაწუხებთ, მაგრამ უკიდურესი პირობები მაიძულებენ შეგაწუხოთ. მინდა ხანდახან ბაზარში გავიდე, მაგრამ ტანისამოსის უქონლობის გამო ვერ ვახერხებ ჩემი ეზოდან ფეხის დაძვრას. მაქვს 14 გამხმარი სულგუნი გამხმარი ყველი, 20 გირვანქა ვაშლი. ყველა ამას გამოგიგზავნით და მიშველეთ თუ საქონელი მოგეპოვებათ ერთი საბლუზე და საშარვლე, თუ არა და, შეიძლება ვინმე თქვენგანს ჰქონდეს ნატარები ბლუზა და შარვალი და უბრალო ფეხსაცმელი. ეს სამი ჩემთვის უცილობელი საჭირო საგნები მომიხერხეთ"** (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონდი 28, აღწერა 1, საქმე 23, ფურცელი 1). მსგავსი მდგომარეობა იყო ზუგდიდის მაზრასა და მთლიანად სამეგრელოში უახლოეს მომდევნო წლებშიც. 1922 წლის გაზაფხულზე სოფლად სამუშაოდ ზუგდიდის პარტიის სამაზრო კომიტეტის მიერ მივლინებული ხელმძღვანელი მუშაკები ითხოვენ ფეხსაცმელსა და ტანისამოსს. მათ შორის გიორგი წახნაკიძე წერს, დავალების შესრულებას მიძნელებს **ის რომ "რაც მქონდა ტანისამოსი და ფეხსაცმელი ყველაფერი დამეხაო"** (იქვე, ფურცელი 19,23).

მაზრის გლეხობის მდგომარეობისა და მოთხოვნილებათა შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის უპარტიო გლეხთა კონფერენციის წინასწარ მოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებით გამოკითხულთა პასუხების მონაცემები: 1923 წლის 17 ივლისს ზუგდიდის მაზრის პარტკომმა მოისმინა მოხსენება **"უპარტიო გლეხთა კონფერენციის შესახებ"**. პირველ კითხვაზე – **"რაზე ფიქრობს გლეხობა?"** პასუხი ასეთია: **"გლეხობას უფრო აინტერესებს ცხოვრების ეკონომიკური მხარე... მეტად ცუდ პირობებში იმყოფება, მისი ნაწარმოები ბაზარში ჩალის ფასად იყიდება, ქალაქის ნაწარმი მისთვის ხელმიუწვდომელია... ხშირად ტანისამოსის და ქვეშაგებლის უქონლობისა გამო ჩალაზე წვანან ხოლმე. ზამთრობიც და ეხლაც კი მთელ ღამეს კერიის გვერდზე ათენებენ, ყველაზე უფრო მათ აწუხებთ მარილის და ნავთის გაძვირება..."** სხვა კითხვაზე პასუხი ასეთია: **"გლეხობა დაინტერესებულია სამეურნეო იარაღის გაუმჯობესებით, სწავლა-განათლების ფართო მასშტაბით განვითარებით, დარწმუნებულია იმაში, რომ სწავლა-განათლება ეს არის ერთადერთი მხსნელი მისი. მათთვის არა ნაკლებ საინტერესოა კოოპერატივების აღორძინება... კერძო კოოპერატივის თანახმა არ არიან. იქ არ შევლენ თუ მთავრობამ თავის თავზე არ მიიღო კოოპერატივის ხელმძღვანელობა და კონტროლი. როგორც მათთან საუბარში ირკვევა გლეხები მზად არიან საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ კოოპერატივს თავისი უკანასკნელი განძი (მიწა) შესწირონ...."**

...მეორე, სხვა სანდო წყაროს მიხედვით, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის პირველი ნაბიჯების მიუხედავად, 1925 წელს ზუგდიდის მაზრაში საქართველოს პარტიული და სახელმწიფო ცენტრის მიერ მივლინებული ავტორიტეტული კომისიის მონაცემებით დასტურდება, რომ "მაზრაში სრული ეკონომიკური ჩამორჩენილობაა, გლეხობის 90 პროცენტს აბსოლუტურად არა აქვთ არავითარი ტექნიკურ-პოლიტიკური განათლება, არ იციან და არ ესმით ქართული ენა. მოსახლეობას დიდი მოთხოვნა აქვს ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ ცხოვრებაში უშუალო მონაწილეობის მიღებისა, ამაში მათ ხელს უშლის ქართული ენის უცოდინარობა, რომლის გაუთვალისწინებლობა უკვე მოუთმენელი და შეუძლებელი ხდება".

მეგრელებში ქართული ენის არცოდნას ადასტურებენ სხვა წყაროებიც. მაგალითად, ისტორიკოსი და ფილოლოგი შალვა ბერიძე, რომელმაც სამეცნიერო მიზნით 1919 წელს სამურზაყანოში იმოგზაურა, წერს: **"ენგურიდან ღალიძგამდე, ზედ ქალაქ ოჩამჩირის კარებამდე... ვერ გაიგონებთ აფხაზურსა, ბატონობს მეგრული, ინტელიგენციამ (გალი, აჩიგვარა) იცის რა თქმა უნდა რუსული წერა-კითხვა, ლაპარაკობს მეგრულად და არ იცის ქართული"** (შ. ბერაძე, **"მეგრული ენა"**, გვ. 20). მაშასადამე, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სამეგრელოს გლეხობა საკუთარი და ოჯახური დუხჭირი ცხოვრების შეცვლისა და გაუმჯობესების აუცილებელ პირობას სწავლა-განათლების მიღებასა და ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური აღმშენებლობის პროცესში აქტიურ მონაწილეობაში და ამ გზაზე გასვლის უმთავრეს დაბრკოლებას სახელმწიფოებრივ-ლიტერატურული ქართული ენის უცოდინარობაში ხედავს.

ამ დროს კი, წყაროები მოწმობენ, რომ ზუგდიდის მაზრაში სკოლის ასაკის ბავშვთა 55-60 პროცენტი მის მიღმა იყო დარჩენილი და იძულებული ხდებოდა ყოველგვარი სასკოლო აუცილებელი მინიმალური ცოდნის გარეშე ჩაბმულიყო კერძო კუსტარულსა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. მსგავსი მდგომარეობა იყო სამურზაყანოსა და სამეგრელოს სხვა რაიონების სოფლებში. ეს იმას მეტყველებს, რომ ისინი საჭიროებდნენ გარდამავალი ხასიათის შეღავათს: მეგრულ გასაგებ ენაზე **"სათანადო"**, ანუ გლეხურ საცნობარო ლიტერატურას, თავიანთი შვილების სწავლის გაიოლების და თუნდაც დაწყებითი აუცილებელი განათლების მიღების მიზნით, დაწყებით სკოლებში მეგრულ გასაგებ ენაზე სწავლებას, სასამართლოებსა და სოფლსაბჭოებში მათთვის გასაგებ საქმის წარმოებასა და, მაშასადამე, მეგრულ ენაზე ურთიერთობას. იმის გამო, რომ ენის პრობლემა მეტნაკლებად შეეხებოდა სამეგრელოს ყველა თემის ინტერესებს, მეგრელი გლეხებისათვის მოსაწონი იყო და ისინიც მხარს უჭერდნენ მეგრული რაიონების საქართველოს ერთიან ორგანიზმში შემავალ **"ადმინისტრაციულ ოლქად"** გაერთიანებას. ქართული ენის არმცოდნე მეგრელი გლეხების ეს მდგომარეობა საკუთრივ შეესაბამებოდა იმ რეალური ვითარებიდან გამომდინარე აუცილებლობას, რომელიც ასაზრდოვა საქართველოს ისტორიულმა ბედუკუღმართობამ – განაპირა მხარეების ეკონომიკურმა ჩამორჩენილობამ და სამეგრელოს ძირითადი (გლეხური) მასისთვის საერთო ეროვნული სალაპარაკო ენის გამომუშავების მიუღწევლობამ. **"მეგრული საკითხის"** გაუკუღმართებული გაგებით დამფრთხალმა მკითხველმა სამეგრელოს ენობრივი ბარიერის დაძლევისა და ერთიანი **"ადმინისტრაციული ოლქის"** საჭიროებაზე მსჯელობაში შეიძლება შეცდომით დაინახოს "მეგრული პრობლემის" გაზვიადება. მან შეიძლება იფიქროს, რომ ამაში თითქოს მართლაც უნდა გავიგოთ იანოვსკი-ლევიცკი-ვოსტორგოვ-აშორდიას და სხვათა მავნე ტრადიციის გამოძახილი, რომელსაც თითქოს მართლაც ამის გამო დასჭირდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას, რესპუბლიკის ხელისუფლებისა და სახელმწიფო უშიშროების წარმომადგენელთა ინიციატივით წამოწყებული მომავალი კამპანია, რომელსაც ცალკეულ ავტორთა გამონათქვამებით, თითქოს დიდი სიკეთე – სამეგრელოს და საერთოდ საქართველოს გადარჩენა მოჰყვა. ამიტომ საჭიროდ გვესახება აქვე მიუთითოთ, რომ აღნიშნული შეღავათების საჭიროებას საქართველოს ხელმძღვანელობაც აღიარებდა, მოითხოვდა და სათანადო ღონისძიებასაც სახავდა. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია იმ სათანადო დოკუმენტაციის მოხმობა, რომელიც ადასტურებს, რომ სამეგრელოს მოსახლეობისათვის ენის პრობლემის მოგვარება და ერთიან ადმინისტრაციულ ოლქად ორგანიზების საკითხი ზემოდან, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დონიდან დაისვა, რომ ამ პრობლემის მოგვარების იდეა და პრაქტიკული მხარდაჭერა, თვით საბჭოთა საქართველოს კომპარტიის ცეკას და ხელისუფლების მიერ ეკონომიკის საბჭოური ორგანიზების ინტერესებით იყო ნასაზრდოები. მაგრამ იგი ამასთანავე ნაკარნახევი იყო უპირველეს ყოვლისა მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობიდან გამოყვანის ინტერესებით. უნდა გვახსოვდეს, რომ ენა არა უბრალოდ ურთიერთგაგებინების, არამედ ამასთანავე წარმოებისა და სოციალური პრობლემების მოგვარების მძლავრი საშუალებაა.

მეგრელი გლეხობის პრობლემების გაგებაში მეტი სიცხადის შეტანის მიზნით საჭირო ხდება აღინიშნოს, რომ 1923 წლის სექტემბერში საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმმა აღიარა სამეგრელოში ენის სიმწვავისა და სამეგრელოს ერთიან სამეურნეო ორგანიზმად გაერთიანების პრობლემის გადაუდებლად მოგვარების აუცილებლობა.

(გაგრძელება იქნება)

ირანის გაზსადენმა „ნაბუკოს“ აჯობა

ირანი ახალ რევოლუციას დაგვპირდა – ამჯერად ევროპის ბუნებრივი აირით მომარაგებასთან დაკავშირებით. ირანული აირი დასავლეთისაკენ გადაიგზავნება, მაგრამ არა **„ნაბუკოს“** საშუალებით. ირანის ნავთობის მინისტრის გოლიამჰუსეინ ნოზარის გაკეთებული განცხადების თანახმად, მუშავდება პროექტი, რომლის მიხედვით ირანის ბუნებრივი აირი ევროპას უნდა მიეწოდოს ერაყის, სირიის, ხმელთაშუა ზღვის, მერე კი საბერძნეთისა და იტალიის გავლით. ეს განცხადება ნოზარმა სირიაში ვიზიტის დროს გააკეთა და მისი ტონით იგრძნობოდა, რომ მოლაპარაკებამ წარმატებით ჩაიარა. ასე რომ, რუსეთის გვერდის ავლით ყველაზე ამბიციური გაზსადენის მშენებლობის გეგმა შესაძლოა, გაცამტვერდეს – მისთვის **„თავისუფალი“** აირი არ დარჩება.

ეს ახალი მარშრუტი ირანისათვის მეტად მოსახერხებელია. იგი აირის მიწოდებას მეგობარი ქვეყნების გავლით მოახდენს. რატომ არ მოელის ირანი რაიმე პრობლემებს ერაყში? მასთან ხომ სულ ცოტა ხნის წინ ომი ჰქონდა გაჩაღებული. უბრალოდ, ირანი სათავისოდ გამოიყენებს ერაყში ამერიკული აგრესიის შედეგებს. ამერიკელებმა სადამ ჰუსეინის რეჟიმი დაამხეს და ამჟამად ერაყში მეტად ძლიერია შიიტების გავლენა, რომლებიც ირანშიც მოსახლეობის უმეტესობას შეადგენენ. ახალი გაზსადენით სარგებლობა შესაძლოა, თურქმენეთმაც მოინდომოს, ეს კი ავტომატურად გადააქცევს ირანს ბუნებრივი აირის მიწოდების რეგიონულ კოორდინატორად.

რუსეთს ირანთან ნორმალური ურთიერთობა აქვს და შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს გაზსადენის მშენებლობაში. მას კარგი ურთიერთობა აქვს სირიასთან, ამიტომ რუსული კომპანიები ამ ქვეყანაშიც შეძლებენ მილსადენის გაყვანასა და გადამამუშავებელი ქარხნების მშენებლობაში მონაწილეობას. მით უფრო, რომ რუსული **„ტრანსგაზი“** უკვე აშენებს სირიაში გაზის გადამამუშავებელ ორ ქარხანას, ოღონდ სხვა პროექტების ფარგლებში.

ამ სიტუაციაში გაზსადენი **„ნაბუკოს“** მშენებლობას, ალბათ, საერთოდ აღარ აქვს აზრი. ევროპელები მისი საშუალებით თურქმენეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და ირანის გაზის ტრანსპორტირებას აპირებდნენ. ახლა პირველი ორი ქვეყანა დასავლეთისაკენ გადასაგზავნ აირს უკვე **„გაზპრომზე“** ყიდის, და საკმაოდ სარფიანად. აზერბაიჯანიც ამასვე აპირებს, ირანმა კი სულაც საკუთარი საექსპორტო პროექტის შესახებ განაცხადა. **„ნაბუკოს“** გაზსადენისათვის აირი, უბრალოდ, აღარ დარჩა.

„სპარსული გაზსადენის“ პროექტის დეტალები ჯერჯერობით ცნობილი არ არის, მაგრამ, სავარაუდოდ, ირანი პირველ რიგში შეეცდება, თავისი პროდუქცია სირიის ქიმიურ ქარხნებში გადაამუშაოს. შესაძლებელია თხევადი აირის დამზადებაც და სპეციალური ტანკერებით ევროპაში გადაზიდვა. ეს შედარებით ნაკლებ ინვესტიციას მოითხოვს და ეკონომიკური კრიზისის პირობებში ირანმა შესაძლოა, ეს ვარიანტი აირჩიოს, – ვარაუდობენ ექსპერტები.

გაზეთი **"ფაინეშნელ ტაიმსი"**

გაზეთ **"ილორის"** შენიშვნა

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გაიპარა შეცდომა: მეშვიდე გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში სათაური უნდა იკითხებოდეს **"კოლხური დამწერლობა არსებობდა"**. აღნიშნული უზუსტობისათვის დიდ ბოდიშს ვიხდით.

ციტატა-შეხსენება

"თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ სამეგრელოს პრობლემებზე, სამეგრელოს მოსახლეობის გაჭირვებულ მდგომარეობაზე, სამეგრელოს პერსპექტივებზე ნებისმიერი მსჯელობა გარკვეულ წრეებში მაშინვე იწვევს ბრალდებას სეპარატიზმში. თვით სიტყვაც კი "სამეგრელო", ზოგიერთის ავადმყოფურ აზროვნებაში სეპარატიზმთანაა დაკავშირებული. ამ სენმა ისეთი გავრცელება ჰპოვა, რომ თვით მეგრელებიც კი ერიდებიან სამეგრელოს სავალალო მდგომარეობაზე, მეგრულ კულტურასა თუ სპეციფიკაზე საჯარო საუბარს, ამ ბრალდების თავიდან ასაცილებლად. მეტიც, ამ ბრალდებებმა ჩვენს ხალხში თავისებური არასრულფასოვანების კომპლექსიც კი ჩამოაყალიბა. ჩვენ იძულებული ვართ, სულ ვუმტკიცოთ ვიღაცას, რომ ვართ ქართველები, რომ მთელი საქართველოს ტკივილი ისევე გვტკივა, როგორც ჩვენი კუთხის, ჩვენი ოჯახის სატკივარი...

ალექსანდრე ჭაჭია

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს"

II ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა, 2001 წლის 12 ოქტომბერი"

2008 წლის აგვისტოს ავანტიურის სცენარი 1996 წლის აპრილში დაიწერა



გახსოვთ, ალბათ, პაატა დავითაიას ავადმოსაგონარ კომისიის სხდომაზე, სანამ გივი თარგამაძე ბურთულიანი ავტოკალმისტრით შეუტევდა, ეროსი კიწმარიშვილმა რომ წამოაყვედრა ხელისუფლებას – თქვენი პრეზიდენტი დიდხანს და გულმოდგინედ გეგმავდა ოსეთსა და აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებას, ამისთვის საგანგებოდ ემზადებოდა და ტრაბახობდა კიდევაც – საქართველოს დედაქალაქი სოხუმში უნდა გადავიტანოო...

სოხუმის რა მოგახსენოთ, მაგრამ ბათუმში საქართველოს დედაქალაქი სააკაშვილმა უკვე გადაიტანა. თბილისში აქციებისა და ოპოზიციისგან შეწუხებული ერთ ღამეს არ ათევს, დღენიადაგ რეგიონებში დაძრწის, საღამოჟამს კი ამალითურთ და რიგი მინისტრების თანხლებით ბათუმშია ხოლმე. სადაც პრეზიდენტი და მთავრობა სხედან, ქვეყნის დედაქალაქიც იქ არის, თუმცა ამჯერად სხვა საკითხზე, კიწმარიშვილის შეცდომაზე უნდა გესაუბროთ.

ვერ ვიტყვი, მოიტყუა-მეთქი, მაგრამ როდესაც თქვა, – სააკაშვილი გულმოდგინედ და ოთხი წლის მანძილზე ამზადებდა სეპარატისტულ რეჟიმებზე სამხედრო შეტევასო, იგი შეცდა.

შესაძლოა ყოფილმა ელჩმა არც იცოდა, რომ სცენარი, რომლითაც სამაჩაბლოში სამხედრო მოქმედებები განვითარდა, ქართველი სამხედროებისათვის ჯერ კიდევ 1996 წლის აპრილში დაიწერა.

„ილორის“ ინფორმაციით, 1996 წლის 2 აპრილს თბილისში „ნატოს, ევროპისა და შეერთებული შტატების ექსპერტების და თანამდებობის პირების მონაწილეობით“ შედგა „საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციის ჩამოყალიბებისადმი“ მიძღვნილი კონფერენცია.

კონფერენციაში მონაწილე უცხოელი **„ექსპერტებისა და თანამდებობის პირების“** მთავარი მესიჯი შემდეგი იყო: **„საქართველომ უნდა განსაზღვროს საგარეო საფრთხე და, შესაბამისად, გამოკვეთოს საკუთარი უსაფრთხოების დაცვის მიმართულებები... საქართველოში უსაფრთხოების მტკიცე სისტემის შექმნას ობიექტურ მიზეზებთან ერთად მრავალი სუბიექტური ფაქტორიც უშლის ხელს; კერძოდ, მოსახლეობის დაბალი სოციალური და მოქალაქეობრივი შეგნება“.**

სანამ სხვა დეტალებზე გადავიდოდე, გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება, რომ 1996 წლიდან განსაკუთრებით აქტიურდება **„სამოქალაქო სექტორი“,** იქმნება **„თავისუფლების ინსტიტუტი“,** მიზანმიმართულად ხდება **„მოსახლეობის დაბალი სამოქალაქო შეგნების“ „ამაღლება“,** მოგვიანებით საქმეში ერთვება სოროსის ფონდი, დანარჩენი ყველას გვახსოვს...

უფრო საინტერესოა, **„უცხოელი ექსპერტებისა და თანამდებობის პირების"** მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს ქართული ჯარი და რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ: **„არმიაში ერთდროულად იყოს, როგორც დამწყები, ისე მაღალპროფესიულ დონეზე გაწვრთნილი შენაერთები და მრავალრიცხოვანი რეზერვი, რომლის არსებობა დაკარგული ტერიტორიებისა და მეზობლებთან ჯერ კიდევ ბოლომდე გაურკვეველი ურთიერთობის პირობებში აუცილებელია...“**

აბა გაიხსენეთ, პირველად რით დაიწყო ქართული არმიის მიშასეული რეფორმა: საყოველთაო გაწვევის შედეგად, არმიაში მობილიზებული ჯარისკაცების პარალელურად, ერაყში ბატალიონების გაგზავნით; სხვადასხვა საწვრთნელი პროგრამების მეშვეობით „მაღალპროფესიულ დონეზე გაწვრთნილი შენაერთების“ მომზადებით და, რაც მთავარია, – რეზერვით! ხომ გახსოვთ, როგორ აიძულებდა სააკაშვილი დეპუტატებსა და მინისტრებსაც კი, ევლოთ რეზერვში, როგორ იკვეხნიდა, რეზერვის წყალობით ასი ათასიან არმიას გამოვიყვან საჭიროების შემთხვევაშიო. სამწუხაროდ, ისიც გვახსოვს, რომ რეზერვის (რომელზეც ათეულობით მილიონი დაიხარჯა) ეფექტურობა შარშან, აგვისტოში, ნულის ტოლი იყო.

და რისთვის გვჭირდებოდა ეს ყველაფერი?! – იმისათვის, რომ, როგორც ამერიკელმა ექსპერტებმა და თანამდებობის პირებმა ჯერ კიდევ 1996 წლის აპრილში მიგვითითეს, **„მეზობლებთან ბოლომდე ვერ გარკვეული“** ურთიერთობები **„გაგვერკვია“...** ცხადია, რომ მეზობლებში აზერბაიჯანი და თურქეთი არ იგულისხმებოდა და ეს დირექტივა ერთმნიშვნელოვნად რუსეთს ეხებოდა.

აი, კიდევ ერთი საინტერესო დირექტივა 1996 წლის აპრილის კონფერენციიდან:

„ტერიტორიების დაკარგვისა და წაგებული ომების (იგულისხმება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს 90-იანი წლების მოვლენები. – რედ.) შემდეგ მოხდა გაუცხოება დამარცხებულ არმიასა და მოსახლეობას შორის... ამას თუ დავუმატებთ, რომ ჯარისკაცები ცუდ პირობებში იმყოფებიან, ცხადი გახდება, თუ რატომ არ არის არმიაში სამსახური პოპულარული... არმიას სჭირდება გმირთა ხატები, ოღონდ ისინი ეთნიკურად მხოლოდ ქართველები არ უნდა იყვნენ, – განაცხადა საქართველოში შეერთებული შტატების წარმომადგენელმა, ბატონმა ლოურენს კერიმ. მხოლოდ პატრიოტიზმით ხალხს ჯარში ვერ მიიზიდავ, მით უმეტეს, რომ საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ დიდი პროცენტი არაქართველები არიან“.

სააკაშვილმა, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეს დირექტივაც ზუსტად შეასრულა. მან ქვეყნის ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე არმიას მოახმარა, გადაიღეს ათეულობით კლიპი, დახარჯეს მილიონობით დოლარი, შექმნეს არაერთი (მათ შორის, ხაზგასმით, არაქართველი) პიარ-სახე იმისათვის, რომ არმიაში სამსახური პოპულარული გაეხადათ არამარტო პატრიოტიზმის, არამედ კომფორტული ყაზარმებისა და მაღალი საკონტრაქტო ანაზღაურების ხარჯზე.

იმისათვის, რომ მოესპო გაუცხოება **„დამარცხებულ არმიასა და მოსახლეობას“** შორის, სააკაშვილი წარამარა აწყობდა **„ხანმოკლე წარმატებულ“** ოპერაციებს ხან სამაჩაბლოს, ხან განმუხურის, ხანაც კოდორის მიმართულებით...

საუბარი გამიგრძელდა, მთავარი კი ახლა უნდა გითხრათ, უფრო ზუსტად, წარმოგიდგინოთ ციტატა ამერიკელი ექსპერტის, პროფესორ ჩარლზ ფერბენქსის განცხადებიდან, რომელიც მან 1996 წლის კონფერენციაზე გააკეთა!

„საქართველო აფხაზეთს ომის გარეშე ვერ დაიბრუნებს. მართალია, ამას უარყოფითი რეაქცია მოჰყვება როგორც რუსეთისა და თურქეთის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, მაგრამ ამის ნეიტრალიზება შესაძლებელია, თუ პარალელურად აქტიურ საგარეო პოლიტიკასა და მოლაპარაკებას აწარმოებთ... სწორი პოლიტიკური კურსის გატარების შემთხვევაში, დასავლეთის რეაქცია შეიძლება, მხოლოდ ცალკეული განცხადებებით ამოიწუროს“.

შეგახსენებთ, ეს სცენარი-დირექტივა, რომ ტერიტორიებს უომრად ვერ დაიბრუნებთ, რომ ომი რუსეთს გააღიზიანებს, მაგრამ თუკი **„მოგველაპარაკებით“** და სწორ, ანუ საჩვენო პოლიტიკურ კურსს გაატარებთ, შეიჭრებით სოხუმში, ჩვენ ერთ-ორ ნეიტრალურ განცხადებასღა გავაკეთებთ და საქმე ამით დასრულდებაო, ჯერ კიდევ 1996 წელს მოგვიმზადეს **„ამერიკელმა პარტნიორებმა“...**

ასეც მოხდა 2008 წლის აგვისტოში, ჩვენ ეს დირექტივა ზუსტად შევასრულეთ, მაგრამ რაღაცამ არ იმუშავა. სანამ გავაანალიზებდეთ, კერძოდ, რამ არ იმუშავა, გავაკეთოთ 1996 წლის აპრილის კონფერენციის რეზუმირება:

1996 წელს ამერიკელებმა გვითხრეს – განსაზღვრეთ და ჩამოყალიბდით, რომ თქვენი საგარეო საფრთხე არის რუსეთი, რომ ჯარში ახალწვეულებთან ერთად უნდა გყავდეთ პროფესიონალები, კარგად გაწვრთნილი **„კონტრაქტნიკები“,** უნდა გყავდეთ ძლიერი მრავალრიცხოვანი რეზერვი, რომ ჯარისკაცები ჯარში მაღალი ანაზღაურებით და კარგი პროპაგანდით შევიტყუოთ, რომ დაკარგულ ტერიტორიებს ვერ დავიბრუნებთ ომის გარეშე, ეს გააღიზიანებს რუსეთს, მაგრამ თუკი სწორ, ანუ აშშ სატელიტი სახელმწიფოს პოლიტიკას ხეირიანად გავატარებთ, სოხუმსა და ცხინვალში ქვა ქვაზეც რომ არ დატოვოთ, მათი შემოერთების შემდეგ დასავლეთის ნეგატიური რეაქცია **„მხოლოდ ცალკეული განცხადებებით ამოიწურება“.**

ჩვენი პასუხი ამ დირექტივაზე ნათელი და მკაფიო იყო, რამდენიმე წელიწადი რუსეთისგან წარმატებით ვქმნიდით მტრის ხატს, რომელიც თურმე დღე და ღამე ჩვენთვის დამუქრებაზე ფიქრობდა, ნატოში გაწევრიანება ანუ **„სწორი საგარეო პოლიტიკის გატარება“** უმთავრეს მიზნად დავისახეთ, პარალელურად გავწვრთენით ჯარისკაცები, შევქმენით რეზერვი, ანუ საუკეთესოდ და მორჩილად გავატარეთ სატელიტი ქვეყნის პოლიტიკა...

შარშანდელი აგვისტოს ავანტიურა კი მაინც წავაგეთ!

რატომ მოხდა ასე?! რატომ გახდა საჭირო, რომ დასავლეთი იძულებული იყო **„ცალკეული განცხადებებით“** ამოეწურა არა საქართველოს მიერ ტერიტორიების ძალით დაბრუნებაზე რეაქცია, არამედ სააკაშვილის მიერ ცხინვალზე საარტილერიო იერიშის მიტანისა თუ მუცელზე ხოხვის ან სულაც ჰალსტუხის ღეჭვის შედეგები?!

მთავარი მიზეზი (ეს ჩემი სუბიექტური აზრია) ის გახლავთ, რომ ეს დირექტივა, ანუ 8 აგვისტოს მოვლენების ლამის დეტალურად გაწერილი გეგმა, ამერიკელებმა ჩვენთვის 1996 წელს, ანუ ელცინის რუსეთის პირობებში, მაშინდელი რეალობის გათვალისწინებით შეიმუშავეს... მას შემდეგ რუსეთი შეიცვალა და იმან, რაც იმუშავებდა ელცინის პირობებში, არ იმუშავა მედვედევის რუსეთთან...

ანუ რუსეთი აღარ დაელოდა, როდის ავიღებდით ცხინვალსა და სოხუმს და როდის „ამოიწურებოდა ცალკეული განცხადებებით“ დასავლეთის რეაქცია საქართველოს მიერ ძალის გამოყენებაზე.

რუსეთმა მოქმედება გადაწყვიტა... შედეგი ყველამ ვიცით...

და ბოლოს:

კონსპიროლოგიის მოყვარულთათვის განვმარტავ – 1996 წლის კონფერენცია, რომელზეც გესაუბრეთ, ფართოდ გაშუქდა მაშინდელ პრესაში. ერთ-ერთი პუბლიკაცია ამ თემაზე ამჟამინდელი სახალხო დამცველის სუბარის ავტორობით გაზეთმა **„კავკასიონმა“** 1996 წლის 6 აპრილს გამოაქვეყნა სათაურით **„ქართული არმიის მომავალი ნატოს ექსპერტის თვალით“.**

რაც შეეხება ამერიკას, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამერიკამ **„მთლიანად და ჩუმად შეაჩერა სამხედრო ექსპორტი საქართველოში“.**

ანუ გასაგებად რომ ვთქვათ, ვაშინგტონმა სამხედრო დახმარება შეგვიზღუდა, სავარაუდოდ, რუსეთის გულის მოსაგებად ან იმიტომ, რომ იმპულსურ სააკაშვილს ბოლომდე აღარ ენდობა.

ამაზეა ნათქვამი, – ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

– თქვე მამაცხონებულებო, თუ 8 აგვისტოს სცენარი 12 წლის წინათ მოგვიმზადეთ, თავიდანვე გეზრუნათ შესაძლო გართულებებზე, თუ არადა, ახლა **„პირქვედამხობილი“** რომ ყავართ რუსეთს იმისათვის, რომ თავის დროზე თქვენს დაკრულზე ვიცეკვეთ, სამხედრო ექსპორტის შეწყვეტა უშველის საქმეს?!

თუმცა თქვენ რას გერჩით. პატრონის დაკრულზე ბუქნაობა ხასიათში გადაგვივიდა, თუ ვინმეს სატელიტი ან მარიონეტი არ ვიქენით, ისე არსებობა შეუძლებელი გვგონია... მეტის ღირსი ვართ, მოვიმკით, მალე მოვიმკით **„ყურმოჭრილობის“** შედეგს. ეს მალე მაშინვე დადგება, როგორც კი ერთ მართულ ბელადს, ანუ სააკაშვილს, მეორე, არანაკლებ მართული ბელადით ჩავანაცვლებთ; არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ეს ახალი **„დემოკრატიის“** შუქურა გვარად ალასნია იქნება, ბურჯანაძე თუ გამყრელიძე... მნიშვნელობა იმას აქვს, რომ ამ ახალ ბელადსაც ისევე დაუწერენ სცენარებს, დირექტივებსა და სამოქმედო გეგმებს...

გიორგი გოგიბერიძე

“...ამ წლებში ხუთმილიონიანი ქვეყანა დატოვა მილიონზე მეტმა ადამიანმა, ძირითადად უფრო შრომისუნარიანმა, კვალიფიციურმა ახალგაზრდებმა... შიმშილი და სიცივე ქართველ ხალხს თავისი ისტორიის მანძილზე არაერთგზის გადაუტანია, მათ სსრ კავშირის სხვა ხალხებთან ერთად ვაჟკაცურად გაუძლეს სამამულო ომსაც, მაგრამ მასობრივი ემიგრაცია საქართველოს არ განუცდია. ტრაგიკულ პერიოდებში ხალხი უფრო ერთსულოვანი ხდებოდა, იბრძოდა, უკეთესი მომავლის იმედით ცხოვრობდა. დღეს კი, მას აღარც საერთო მიზანი აქვს, არც ზოგადეროვნული იდეები, მხოლოდ თვალყურს ადევნებს, როგორ შეგნებულად და დაუსჯელად ანგრევს ქვეყანას ხელისუფლება. დაუძლურებული და გატანჯული ქართველი ხალხი დანებდა... მას დაეუფლა ღრმა აპათია, გულგრილობა ტრადიციულ ღირებულებათა მიმართაც კი...

ალექსანდრე ჭაჭია,
1996 წლის დეკემბერი“.

ლავრენტი ბერია — ქართული გენია

სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

ცნობილი პოლიტიკური პასკვილანტი ანტონოვ-ოვსეენკო მრავალ სიბინძურეს ასხამდა სტალინის სახელს. მან **"თავი გამოიჩინა"** ბერიას პიროვნების გაშუქების საქმეშიც, როცა დაწერა ნაშრომი **"გზა სიმაღლისაკენ"**, რომელიც შევიდა კრებულში **"ბერია: კარიერის დასასრული"**. ოვსეენკოს ფსიქოპატური ნაბოდვარის ანალიზი არ გახლავთ მარტივი საქმე – მოვლენები იმდენად აღრეულია ერთმანეთში, რომ კაცი შეიძლება ჭკუიდან გადავიდეს. არა და, ოვსეენკო რიხიანად მიუთითებს, რომ "ჩემი ნაშრომი ეყრდნობა ფაქტებს"-ო.

მის მიერ მოხმობილ ფაქტებს მე არაერთგზის დავუბრუნდები, ახლა კი ერთ **"ფაქტს"** მოვიყვან, რომელიც ბერიას მუსავატელებთან მუშაობას ეხება. ოვსეენკო წერს: **"ბერიას მიერ მოპოვებული მონაცემები ბაგიროვმა ცარიცინში გააგზავნა X არმიის შტაბში"**.

ამ ფაქტის თაობაზე, მე ჯერ კიდევ ზენკოვიჩის ნაშრომში **"მარშლები და გენერალური მდივნები"** წავიკითხე, რომელიც ოვსეენკოს იმოწმებდა. მაშინვე გავიფიქრე, რომ აქ კორექტურული შეცდომაა, რადგან უნდა იყოს XI არმიის, და არა X არმიის შტაბში.

აქ ზენკოვიჩი უნებურად ამართლებს ბერიას და იმოწმებს ოვსეენკოს, იმის დასტურად, რომ ბერია მართლაც გადასცემდა ცნობებს და ამით სამშობლოს ეხმარებოდა. მაგრამ ეს მაინც დიდი სიცრუეა, რადგან, არასოდეს ბერიას X არმიის შტაბისათვის არავითარი ინფორმაცია არ გადაუცია (აქ ისიც საგულისხმოა, რომ რუსეთის არმიის მთავარსარდლობა ქვედანაყოფთა ნუმერაციისათვის ლათინურ ალფავიტს არ იყენებდა). იქ ეს ინფორმაცია არავის სჭირდებოდა.

გასაოცარია, რომ ოვსეენკო და ზენკოვიჩმა აგრერიგად არ იციან სამოქალაქო იმის ისტორია, მაგრამ გეოგრაფიის ცოდნა მათთვის სავალდებულოა.

სად ბაქო, და სად ცარიცინი?

და რაში სჭირდებოდა ბაგიროვს ან სხვა ვინმეს ათასობით კილომეტრზე ინფორმაციის გაგზავნა, როცა იქვე, ყურისძირში – ასტრახანში იმყოფებოდა მე-11 არმიის შტაბი, რომელიც იქ იდგა რუსული სამხედრო შენაერთების ომისშემდგომი რეორგანიზაციის შემდეგ.

სწორედ ამ შტაბს სჭირდებოდა ოპერატიული ინფორმაცია ბაქოდან, რასაც ლავრენტი ბერია სისტემატურად გადასცემდა კიდეც.

როგორც ჩანს, ეს ფასეული ინფორმაცია გახლდათ, რადგან მალე იგი მე-11 არმიის ხელმძღვანელობის რეკომენდაციით (აქ ბერია უშეცდომოდ მიუთითებს არმიის ნომერს) საქართველოში გადაიყვანეს და უფრო საპასუხისმგებლო არალეგალური სამუშაო ჩააბარეს.

აი, რას ამბობენ **"ფაქტები"**.

იგივეს ამბობენ **"არგუმენტებიც"**.

და კიდევ... 2003 წელს გამომცემლობა **"ოლმაპრესმა"** გამოუშვა იტალიური ენიდან თარგმნილი ორტომეული **"შპიონაჟის ისტორია"**, რომლის ავტორია ვიღაც ბოიაჯი. იგი მოქნილადაა დაწერილი და მსოფლიო შპიონაჟის ისტორია გადმოცემულია სენსაციის საკაზმით. მაგრამ სტატიაში **"ბერია – საიდუმლო პოლიციის დიდი არქიტექტორი"**, არავითარ ლავრენტი ბერიას პროვოკატორობაზე არაა მინიშნება. როგორც ჩანს, ბოიაჯიმ ვერ გაბედა, რომ ჭორების ჟონგლირებით საკუთარი ავტორიტეტი ეჭვის ქვეშ დაეყენებინა.

ასევე არაფერს ამბობენ ბერიას პროვოკატორობაზე **"მუცლითმეზღაპრე"** პუბლიცისტები, კაპიტალური ნაშრომის "შპიონაჟის ენციკლოპედიის" ავტორები ნორმან პოლმარი და თომას ალენი. ისინი ხომ არც ანტოვოვ-ოვსეენკო არიან და არც ნიკიტა ხრუშჩოვი.

დაიწყო 1920 წელი.

ამიერკავკასიის პოლიტიკური ბალაგანი (რომელმაც, სამწუხაროდ, უამრავი სიცოცხლე შეიწირა) ჯერ კიდევ გრძელდებოდა, მაგრამ დასასრულს უახლოვდებოდა.

მთავრდებოდა სამოქალაქო ომის ძირითადი ბატალიები დიდ რუსეთსა და უკრაინაში და დღის წესრიგში დადგა კავკასიის საკითხი. 1920 წლის თებერვალს ბაქოში გაიმართა აზერბაიჯანის კომპარტიის არალეგალური ყრილობა. ასტრახანში კიროვი ჩავიდა.

17 მარტს ლენინმა დაშიფრული დეპეშა გაუგზავნა კავკასიის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრებს სმიგლას და ორჯონიკიძეს, სადაც წერდა:

"ბაქოს აღება ჩვენთვის მეტად, მეტად მნიშვნელოვანია. გაითვალისწინეთ ეს და იმოქმედეთ უაღრესად კორექტულად ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებთან ერთად. იგივე ეხება საქართველოსაც, რომელთაც უფრო მეტად ფაქიზად უნდა მოეპყრათ..."

ბაქოსკენ მე-11 არმია დაიძრა, რომელსაც სარდლობდნენ ორჯონიკიძე, კიროვი და მიქოიანი.

1920 წლის 27 აპრილს ბაქოში აჯანყება დაიწყო და იმდღესვე შეიქმნა აზერბაიჯანის რევოლუციური კომიტეტი. 28 აპრილის დილას კი ბაქოში ქოშინით შევარდა ჯავშანმატარებელი, რომელმაც იქ ჩაიყვანა მე11 არმია, თავისი სადესანტო შენაერთებით. ზღვიდან ვოლგა-კასპიის ფლოტის გემები შევიდნენ, რომელთაც ასევე მედესანტეები ჩაიყვანეს ივან კოჟანოვის მეთაურობით.

შეიქმნა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

თეთრგვარდიელთა ნარჩენები და ინგლისელები ირანის პორტ ენზელში (ახლანდელი ფეხლევანი) დაბანაკდნენ. მათ თან წაიყვანეს კასპიის ფლოტის საკუთარი ხომალდები, დამხმარე მცურავი საშუალებები და სავაჭრო გემებიც კი.

ჩვენმა მთავარსარდლობამ მათი ძალის გამოყენებით დაბრუნება გადაწყვიტა.

ოპერაციაში ჩართული იქნენ ესმინეცები **"კარლ ლიბკნეხტი"**, **"შემოქმედი"**, **"რასტოროპნი"**, **საკანონერო ნავები "ყარსი"** და **"არდაგანი"**, დამხმარე კრეისერები **"როზა ლუქსემბურგი"**, **"საბჭოთა აზერბაიჯანი"**, **"ავსტრალია"**, ორი ტრალერი. 17 მაისს ეს არმადა 2.000-მეზღვაურიანი დესანტით ბაქოდან გავიდა და 18 მაისს მიუახლოვდა ენზელს. ამავდროულად, ასტარიდან ჩავიდა კავალერისტთა დივიზიონი.

სპარსელებს განუცხადეს, რომ ისინი საომრად არ იყვნენ მოსულები და მხოლოდ ის უნდა წაედოთ, რაც **"რუსეთის ქონებას"** წარმოადგენდა.

საომარი მოქმედებები იმავ დღეს დასრულდა და იგი მხოლოდ ინგლისელ გენერალ ჩემპეინთან გამართული მოლაპარაკებებით შემოიფარგლა. რუსები ჩქარობდნენ და დრო რომ არ გაეჭიანურებინათ, დროდადრო კრეისერებიდან ქვემეხების ზალპით აყრუებდნენ იქაურობას.

ბაქოში დააბრუნეს 10 კრეისერი, ავიატრანსპორტი, 4 ინგლისური სატორპედო კატარღა, რამდენიმე შხუნა და შალანდა. ამაში არ შედის გემებში ჩატვირთული ალაფი და 50 ინგლისური მძიმე ქვემეხი.

ოპერაციის ერთ-ერთი მონაწილე ივან ისაკოვი, რომელიც მაშინ ესმინეც **"შემოქმედს"** მეთაურობდა, მოგვიანებით თავის დღიურში სწერდა:

"როცა ჩამორთმეული გემები პორტიდან გამოდიოდნენ, ნაპირზე გამწკრივებული ენზელელები ქსოვილის და ქაღალდებისაგან სახელდახელოდ სახელდახელოდ გაკეთებულ წითელ დროშებს გვიქნევდნენ და სახეგაბრწყინებულები გვემშვიდობებოდნენ. ეს იყო სიხარულის გამოხატვა იმის გამო, რომ ჩვენ გავაძევეთ ინგლისელები..."

არავითარი ცნობები არ არსებობს ახალგაზრდა ლავრენტი ბერიას მონაწილეობაზე ენზელის ოპერაციაში. მაგრამ მას არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა ამის თაობაზე და, ალბათ საკმაო გამოცდილებაც მიიღო, როგორც მომავალმა ჩეკისტმა.

ენზელის ოპერაცია, სამწუხაროდ, ნაკლებად არის ცნობილი. იგი აუცილებლად უნდა იყოს მოხსენიებული ისტორიის დაწყებით სახელმძღვანელოში, როგორც იმის ნიმუში, თუ როგორ უნდა მოიქცეს რუსეთის ხელისუფლება რუსული ინტერესების აღდგენისას.

პოლიტიკური თვალსაზრისით ენზელის ოპერაციას ბრწყინვალე მომავალი გააჩნდა: უკვე 20 მაისს ირანის მთავრობამ **"ურთიერთობათა მოწესრიგების"** თხოვნით მიმართა საბჭოთა ხელისუფლებას.

1920 წლის 30 სექტემბერს აზერბაიჯანისა და რუსეთის რესპუბლიკებს შორის გაფორმდა მოკავშირული ხელშეკრულება, სადაც აღნიშნული იყო, რომ ორი რესპუბლიკის მთავრობა უმოკლეს ვადებში მოახდენენ სამხედრო ორგანიზაციისა და სარდლობის, სახალხო მეურნეობისა და საგარეო ვაჭრობის, მომარაგების ორგანოების, სარკინიგზო და საყელსნო ტრანსპორტის, ფოსტა-ტელეგრაფისა და ფინანსთა ხელმძღვანელი ორგანოების გაერთიანებას.

ფაქტიურად, ახალი აზერბაიჯანი დაბრუნდა ახალი რუსეთის შემადგენლობაში.

მაშინ ამიერკავკასიაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა მეზღვაურ ივან ისკოვის მიერ დღიურში გაკეთებული ჩანაწერები, რომელსაც მომავალი ადმირალის მახვილი თვალიც ჰქონდა და საკმაოდ მჭრელი კალამიც:

"როგორ ლოზუნგსაც არ უნდა ამოეფარონ მოლები, ხანები და ბეგები, ისინი ემსახურებისნ კონტრრევოლუციას და შავ რეაქციას. განსაკუთრებულ უაზრობად კი ის გამოიყურება, რომ აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს ყველაზე გულმოდგინედ "ემსახურებიან" თურქი ფაშები, ინგლისელი გენერლები, სერი დეტერდინგი (ნავთობის საერთაშორისო მაგნატი – ავტორი), შვედი ნობელი, ფრანგი ებრაელი როტშილდი და ძირძველი ბაქოელები: ასადულაევი, ტაგიევი, მანთაშოვი, ლალაევი და სხვები, რომლებიც ცხოვრების მეტ წილად პარიზში ცხოვრობენ და იქ აძლევენ შვილებს განათლებას.

ქართველმა მენშევიკებმა სამშობლოს ეროვნულ ინტერესებზე ზრუნვა ჯერ კაიზერის გერმანიას მიანდეს, შემდეგ კი ინგლისელებს, რადგან იტალიელებთან შეთანხმება ვერ შედგა კონკურენტთა შორის არსებული უთანხმოების გამო.

სომეხი დაშნაკები ერთხანს კი იკავებდნენ პრინციპულ პოზიციას, მაგრამ შემდეგ ისინიც მიეყიდნენ ამერიკელებს თავისი საგარეო პოლიტიკით, ეკონომიკით, არმიით, პოლიციით და ა.შ.

იმის შედეგად, რომ თურქეთის ექსპანსია მუსულმანურ ფანატიზმზეა დაფუძვნებული, ამიერკავკასიაში ახლა ერთგვარი პოლიტიკური ბურუსი დგას და მასში გარკვევა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან ქარი სხვადასხვა მიმართულებებიდან უბერავს".

დიახ, ამიერკავკასიაში მდგომარეობა სამოქალაქო ომის პერიოდში უაღრესად ჭრელი და ძნელად განსაჭვრეტი იყო.

თანაც, იგი შეღებილი იყო არა მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის, არამედ ეთნიკური გენოციდის სისხლითაც. ფაქტია, რომ მენშევიკურმა საქართველომ არ გაატარა პურით სავსე ეშელონის მოშიმშილე სომხეთში (სერგეი კრემლიოვს რატომღაც ავიწყდება იმის აღნიშვნა, რომ ამ დროს საქართველოსა და სომხეთს შორის ამ უკანასკნელის მიერ გამოცხადებული ომი მძვინვარებდა, **"ხორბლით სავსე"** ეშელონში კი იარაღიც ბლომად იდო, რითაც შემდეგ სომხები ქართველებს ეომებოდნენ, რაც დასტურდება საქართველოს არქივში არსებული დოკუმენტებით – მთარგმნელი).

ახლანდელი ლიბერალი ისტორიკოსები იმასაც ამბობენ: **"ხომ იყო ამიერკავკასიაში ფედერალიზაციის მცდელობაო"**, რის დასტურადაც მოჰყავთ ის, რომ **"1917 წლის 24 ნოემბერს ტფილისში დაფუძვნდა ამიერკავკასიის კომისარიატი – მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელთა მიერ ჩამოყალიბებული ერთიანი ორგანო"**.

ეს მართლაც ასეა... მაგრამ ეს ჯოგი ინგლისელებმა ჩამოაყალიბეს საკუთარი შორს მიმავალი მიზნების განსახორციელებლად. ამ იდეას მხარს უჭერდა ამერიკის ელჩი სმიტიც. აღნიშნულ კომისარიატს სათავეში ჩაუდგა მენშევიკი გეგეჭკორი, თუმცა სმიტს, რომელიც არ შედიოდა ამ **"მთავრობაში"**, გადამწყვეტი ხმის უფლება ჰქონდა.

მისივე ხელშეწყობით 23 თებერვალს ტფილისში შეიქმნა ამიერკავკასიის სეიმი. მან ამიერკავკასიის კანონმდებელ ორგანოდ გამოაცხადა თავი და კიდევ ერთხელ დაადასტურა ერთგულება დონის, ყუბანისა და ურალის თეთრგვარდიელებთან გაფორმებული ხელშეკრულებებისადმი. საერთო კურსი კი ამიერკავკასიის რუსეთისაგან ჩამოშორება და ამ დონისძიების იურიდიული გაფორმება იყო. სეიმის თავმჯდომარედ ნიკოლოზ ჩხეიძე აირჩიეს. მაგრამ, შეერთებული შტატების ეს **"ინიციატივა"**, უშედეგო გამოდგა.

ეს მხარე პოტენციური ედემი იყო და ამით განსაკუთრებით არარატი აძლიერებდა. აქ ხომ ოქროს საწმისის მაძიებელმა იასონის **"არგომ"** ჩაუშვა ღუზა (ესეც სომხური ავადმყოფური ბოდვით შეთხზული **"ჭეშმარიტებაა"**, თორემ სად არარატი, და სად კოლხეთი, სადაც იმოგზაურეს არგონავტებმა – მთარგმნელი). ახლა კი აქ სისხლი იღვრებოდა, რომლის შეჩერება მხოლოდ ბოლშევიკებს შეეძლოთ.

აი, როგორ აღწერდა მაშინდელ მდგომარეობას სომეხი მწერალი ალექსანდრე შირვან-ზადე, 1934 წელს, მოსკოვში გამართულ საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის პირველ ყრილობაზე:

"წითელი არმია... გამოჩნდა კავკასიაში მაშინ, როცა ერთმანეთს დაუნდობლად ეომებოდნენ და ლამის თვალებს სთხრიდნენ მენშევიკური საქართველო და დაშნაკთა სომხეთი... ეს გახლდათ ორი გნომის, ორი პიგმეის ბრძოლა. მიუხედავად ამისა, იგი იყო სასტიკი. ამ ომს ვერცერთი მხარე ვერ მოიგებდა და ორივე დამარცხდებოდა: იგი ჩვულებრივ იმ შედეგით დამთავრდებოდა, რა შედეგითაც ორი სუსტი მოწინააღმდეგის შერკინება მთავრდება ხოლმე.

წითელი არმია გამოჩნდა მაშინ, როცა სომხეთი სულს ღაფავდა შიმშილისაგან, მაშინ, როცა მენშევიკური საქართველო და მუსავატური აზერბაიჯანი უღმრთოდ იძარცვებოდა... იმპერიალისტური არმიების მიერ. მაშინ, როცა სისხლი იღვრებოდა ბაქოსა და ტფილისის ქუჩებში, განსაკუთრებით კი სომხეთში. იმპერიალისტურ ძალებს მაშინ საქართველოდან გაჰქონდათ მარგანეცი, ბაქოდან ნავთობი, ისედაც დამშეულ სომხებს კი უკანასკნელ ლუკმას ართმევდნენ.

ბოლშევიკთა არმიამ, წითელმა არმიამ თავისი სიტყვა სთქვა: **"შეჩერდით! საკმარისია! ეს არ გახლავთ თქვენი ადგილი, წადით! ჩვენ არ მოგცემთ უფლებას, რომ ეს ულამაზესი კუთხე კოლონიად გადააქციოთ!"**

მეორე მხრივ, მან მიმართა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხის მოწინავე ნაწილს: **"რისთვის, ან ვისთვის იბრძვით თქვენ? სიცოცხლე იმიტომ კი არა გაქვთ მონიჭებული, რომ ერთმანეთი დახოცოთ, არამედ იმიტომ, რომ ძმურად ამოუდგეთ მხარში და დაეხმაროთ ერთმანეთს".**

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲧᲝ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲭᲧᲝᲜᲓᲘᲓᲔᲚᲘ – ᲛᲐᲛᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡᲐ PATER PATRIAE



როგორც საისტორიო წყაროებიდან ჩანს, დავით აღმაშენებელს საერთო პოლიტიკურ საქმიანობაში, გარს ეხვია სახელმწიფო მოღვაწეთა მთელი დასი: **„არსენ ბერი (ფიქრობენ იგივე არსენ იყალთოელი), იოანე ტარიჭის ძე, ფილოსოფოსი, იოანე პეტრიწი, ფილოსოფოსი, დემეტრე მეფის ძე და მომავალში საქართველოს მეფე. სხვაც არაერთი, მაგრამ ამათში განსაკუთრებით ავტორიტეტული პიროვნება ყოფილა სამეფოს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი გიორგი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ამ ტერმინს დიდი ხანია ხმარობენ ქართველი ისტორიკოსები“.**

ერისათვის ლეგენდარული პიროვნება – სასულიერო, საერო და სახელმწიფო – პოლიტიკური მოღვაწე, ჩვენი ბედკრული საქართველოსა და მისი საწყმოს და მამულის ერთ-ერთი მეფე და საჭეთმპყრობელი, გიორგი ჭყონდიდელი, მოღვაწეობდა ჭყონდიდ-მარტვილში 1090-1118 წლებში.

გიორგი ჭყონდიდელს, როგორც საქართველოს მეფეთ-მეფის – დავით აღმაშენებლის აღმზრდელისა და მასწავლებლის, ვაზირთუპირველესისა და მწიგნობართუხუცესის, მეცნიერულ კვლევა-ძიებასთან დაკავშირებით უპირველეს ავთენტიკურ წყაროებს წარმოადგენენ ჩვენი ერის მემატიანე **„ქართლის ცხოვრება“**, თედო ჟორდანიას **„ქრონიკები“**, ქართული მწერლობის კლასიკოსის ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას ორიგინალური ტეტრალოგია **„დავით აღმაშენებელი“**, პროფესორების – შოთა ბადრიძის და ილია ანთელავას მიერ გამოქვეყნებული საყურადღებო მონოგრაფიები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ უდიდესი პიროვნებისა და მამულიშვილის შესწავლის თვალსაზრისით.

მაინც ვინ იყო გიორგი ჭყონდიდელი? – აი, მთავარი საკითხი, რომელზედაც ნათელ წარმოდგენას იძლევა გამოჩენილი ისტორიკოსის – თედო ჟორდანიას **„ქრონიკები“**. თედო ჟორდანია აღნიშნავს, რომ მეფური დამარხვა გიორგისა გელათს მეფეთა სამარხავში, ჰბადავს აზრს, რომ გიორგი უნდა ყოფილიყო ნათესავი მეფისა. ამ აზრს თითქმის ამოწმებს ფრაზა მემატიანესი **„ზედამხედველად საქმეთა მანდაურთა (შარავანისათა“) აჩინა (მეფემან) მწიგნობართუხუცესი თვსი სვიმონ ჭყონდიდელი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი მიმსგავსებული გიორგის დედის ძმისა თვისისა (მეფისა თუ სიმონისა?) უკანასკნელი სიტყვა თვსისა“,– „მისისას“ მაგიერ აზრს ჰბადავს, რომ გიორგი ყოფილა დედის ძმა დავით აღმაშენებლისა და ამ მეფის თვითსტომობით შეიძლება აიხსნას ის დიდი გავლენა, რომელიც ჰქონდა გიორგის და სვიმონ ჭყონდიდელთა მაშინდელ ცხოვრებაში“.**

ჟორდანიას ამ აზრს იზიარებს მარტვილის მუზეუმის დამაარსებელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გივი ელიავა, თავის ცნობილ ბროშურაში „ვინ იყო გიორგი ჭყონდიდელი?“

ისმება კითხვა, როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა მაშინდელი საქართველო? – იმ ეპოქის საქართველოს მძიმე დღეები დაუდგა.

პროფ. კ. გრიგოლია აღნიშნავს, რომ 1089 წელს, საქართველოში უჩვეულო ამბავი მოხდა. გიორგი მეორე გადადგა და სამეფო ტახტი თავის ჭაბუკ შვილს, 16 წლის დავითს დაუთმო.

საქართველოს ისტორიის ცნობილი მკვლევარები – აკად. მარიამ ლორთქიფანიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. შოთა მესხია, პროფესორები ვიქტორ გუჩუა და ნოდარ ასათიანი მიიჩნევენ, რომ იმ პერიოდში საქართველოში განვითარებული მოვლენები და პროცესები, რომელსაც გიორგი II-ის ტახტიდან იძულებით გადადგომა (აბდიკაცია) მოჰყვა, იყო პოლიტიკური გადატრიალება საქართველოს სამეფო კარზე.

იმ პერიოდის საქართველო დაუძლურებული და დაქუცმაცებული იყო. როგორც პროფ. შ. მესხია თავის კაპიტალურ შრომაში – „ძლევაი საკვირველი“ აღნიშნავს, ასეთ პირობებში საქართველოს სამეფო ტახტზე ასვლას დავითის ისტორიკოსი ადარებს **„მაცოცხლებელი ნიავის“** მობერვას და უკუნ სიბნელეში ქვეყნის მანათობელი **„მზის აღმოცისკრებას“**.

ახალგაზრდა ხელისუფალს სწორედ ამ დროს ესაჭიროებოდა თანადგომა და მხარდაჭერა იმისათვის, რათა საქართველო ერთიანი, მძლავრი პოლიტიკური სახელმწიფო რომ გამხდარიყო. ეს უდიდესი მისია იკისრა მისმა აღმზრდელმა გიორგი ჭყონდიდელმა, რომელმაც, როგორც ძველი ლათინელები იტყოდნენ იკისრა **„pater patriae“**-ს – მამულის მამის როლი.

განუზომელია გიორგი ჭყონდიდელის ღვაწლი და დამსახურება ბედკრული საქართველოს წინაშე. როგორც მრავალმხრივმა და მაღალინტელექტუალურმა სახელმწიფო, საეკლესიო და პოლიტიკურმა მოღვაწემ, გიორგი ჭყონდიდელმა თავის აღზრდილთან დავით აღმაშენებელთან ერთად, შექმნა ქართული ცენტრალიზირებული ტიპის მონარქიული სახელმწიფო. ეს ხანა აღზევების ხანა იყო საქართველოსათვის. იმდროინდელი საქართველოს ბიძა-დისწულის ეპოქა ოქროს ხანოვანი ეპოქის სახელწოდებით შევიდა საქართველოს ისტორიაში.

როდესაც საქართველოში შექმნილი იყო მძიმე პოლიტიკური სიტუაცია, ერისათვის სწორედ ამ მძიმე ჟამს, როგორც ქართული პროზის დიდოსტატი კ. გამსახურდია აღნიშნავს ტეტრალოგია **„დავით აღმაშენებელში“**, გიორგი ჭყონდიდელმა შეკრიბა დარბაზი, მეფე გიორგის ნებართვით და დარბაზის ერთა დაადგინეს მეფედ კურთხევა დავითისა და წინასწარ განსაზღვრეს მისი მომავალი ტიტულიც. **„აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე“**.

მამულისა და მეფის მამის – გიორგი ჭყონდიდელისა და მისი აღზრდილის დავით აღმაშენებლის მიერ ერთიანი ქართული ცენტრალიზებული მონარქიული ტიპის სახელმწიფოს ჩამოყალიბება განაპირობა მათ მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა (სამხედრო, სასამართლო, საეკლესიო, განათლებისა და კულტურის, ეკონომიკის სფეროში) და მართვის გონივრულმა სტილმა, კანონის უზენაესობამ.

სწორედ ასეთი პრინციპული პოლიტიკის განხორციელების შედეგად, ქვეყნიდან ალაგმულ იქნენ ის ოპოზიციონერები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ქვეყნის წინსვლასა და განვითარებას.

გიორგი ჭყონდიდელის უდიდეს დამსახურებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეადგენს ისიც, რომ დავით აღმაშენებელთან ერთად, ბრწყინვალე **„დუუმვირატმა“** ანუ პოლიტიკურმა ტანდემმა ბიძა-დისწულის სახით, შექმნა ქართული მონარქიული ტიპის სახელმწიფო, რომელიც თავისი არსით, ფეოდალური ტიპის სახელმწიფო იყო.

პოლიტოლოგიურ მეცნიერებაში დომინირებს ის აზრი, რომ მონარქია სახელმწიფო მმართველობის ფორმას წარმოადგენს.

მეფეთ-მეფის – დავით აღმაშენებლის აზრით, მონარქი უნდა იყოს განათლებული, ჰუმანისტი, მართლმსაჯული, ქველმოქმედი და ქვეშევრდომთა მოწყალე. ისინი, როგორც საქართველოზე უზომოდ შეყვარებულნი, მფარველობდნენ ქვრივ-ობლებსა და გლახაკებს. ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა და ფიქრი იყო, გიორგი ჭყონდიდელისა და დავით აღმაშენებლის უპირველესი კრედო. ბრძენი მონარქის თვალსაწიერში ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება იყო.

მონარქიის, როგორც სახელმწიფო მმართველობის ფორმის შესახებ, თავისი მოსაზრება გამოთქვა ანტიკური სამყაროს უდიდესმა მოაზროვნემ, აკადემიის პირველმა დამაარსებელმა, ბრძენმა ელადელმა, ფილოსოფოსმა პლატონმა. იგი ბრძანებდა: **„ბრძენი მონარქი სჯობია, ვიდრე ბევრი ადამიანის შეჯერებული ჭკუა“**-ო.

სახელმწიფო მართვის პროცესში, მონარქი დაახლოვებული უნდა იყოს ხალხთან, უნდა ზრუნავდეს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. სწორედ აქ, ჩვენი აზრით, გიორგი ჭყონდიდელისა და დავით აღმაშენებლის მოღვაწეობაში, ჩანასახის სახით შეინიშნება პოლიტოლოგიის, როგორც განსაკუთრებული მეცნიერების საწყისები. ეს აზრი შეიძლება სადავო იყოს, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხელისუფალი, სახელმწიფო და საზოგადოება, ურთიერთთანამშრომლობის პრინციპით უნდა მოქმედებდნენ. არა 2 საუკუნის წინანდელი ოკეანეგაღმელები არიან პოლიტოლოგიის, როგორც განსაკუთრებული მეცნიერების შემოქმედნი, არამედ გიორგი ჭყონდიდელისა და დავით აღმაშენებლის საქართველოში უნდა ვეძებოთ მისი ფესვები და ვიმეორებ – არა იანკებთან.

ცნობილ რომაელ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს, ფილოსოფოსს, მწერალსა და დიდ ორატორს – მარკუს ტულიუს ციცერონს ეკუთვნის გამოთქმა, რომელიც ლათინურად ამდაგვარად ჟღერს: **„Salus populi suprema lex (est) – ხალხის კეთილდღეობა უზენაესი კანონია“**-ო. დიახ, მარად გაუხუნარი და ყავლგაუსვლელია გენიალური მოაზროვნის ეს სენტენცია.

გიორგი ჭყონდიდელისა და დავით აღმაშენებლის ალტრუიზმმა განაპირობა მათი პოპულარობა ხალხში. (თუმცა ურჩების მიმართ დავით მეფე შეუწყნარებელი იყო). **„მმართველი უნდა იყოს კეთილი“**-ო, **„მაგრამ თუ ხალხში არ იქნება ნდობა მთავრისა, ვერ გადარჩება ის ქვეყანა ვერანაირად“**-ო. ეს სიტყვები ეკუთვნის დიდ ჩინელ მოაზროვნეს კონფუცის. დიახ! – გიორგი ჭყონდიდელსა და დავით აღმაშენებელს, როგორც ხალხის უანგარო მზრუნველებს, მათი სწორი პრინციპული პოლიტიკიდან გამომდინარე ხალხი ენდობოდა, როგორც კეთილ მმართველებს. ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, წარმოადგენდა ბიძა-დისწულის უპირველეს მრწამსს.

სამართლიანად აღნიშნავენ პროფესორები – იგორ კვესელავა, ვაჟა შუბითიძე და აწ განსვენებული ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი ვლადიმერ ჭანუყვაძე. **„მთელს საქართველოში დადიოდა ხალხზე და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული მეფე, მფარველობდა ქვრივ-ობლებსა და გლახაკებს. ცალკე ქისა ჰქონდა დავითს, ყოველ დღე ფულით ავსებდა და ღარიბ-ღატაკებს ურიგებდა თურმე. საყურადღებოა ისიც, რომ, იგი ქველმოქმედებას სახელმწიფო ხაზინიდან კი არ ეწეოდა ზოგიერთებივით, არამედ ხელთა მისთა ნადირებულთა“.**

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გიორგი ჭყონდიდელისა და დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა, როგორც სახელისუფლებო, ისე საეკლესიო მოღვაწეთა ალაგმვის პროცესში. მას შემდეგ, რაც ალაგმეს როგორც საეკლესიო, ისე სახელისუფლებო მოღვაწენი, 1103 წელს, თავის მომხრეთა დასის წყალობით, როგორც აკად. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, დავით აღმაშენებელმა საგანგებოდ ჩატარებული დიდი სამზადისის შემდეგ, განახორციელა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევა, რომლის მიზანი იყო ეკლესიაში მოკალათებული მეფის მოწინააღმდეგე დასის განდევნა და უმაღლეს საეკლესიო თანამდებობებზე მეფის ცენტრალური პოლიტიკის მომხრეთა დანიშვნა-აღზევება.

რუის-ურბნისის კრების მომზადების პროცესში, დავით IV-ს მხარში ამოუდგა გიორგი მწიგნობართუხუცესი, რომელსაც ამ საეკლესიო კრების **„ძეგლის წერა“** კრების თვალს უწოდებს.

დავითის ისტორიკოსი ახასიათებს რა გიორგი ჭყონდიდელს, წერს: იგი იყო **„კაცი სრული ყოვლითა, სიკეთითა სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახნი, სვიანი და ფრთხილი, თანაადზრდილი აღმზრდელი პატრონისა და თანაგამკაფველი ყოველთა გზათა საქმეთა და ღუაწლთა მისთა“.**

ქართული ისტორიული მეცნიერების კორიფე, აკად. ივანე ჯავახიშვილი წერდა: **„ამ კრების (რუის-ურბნისი) მუშაობაში მხურვალე მონაწილეობა მიუღია და მის ნაყოფიერებისა და წარმატებისათვის თავის მსჯელობითა და საბუთიანობით საუკეთესოდ ხელი შეუწყვია საქართველოს მაშინდელ მწიგნობართუხუცესსა და დავით აღმაშენებლის გაბედულ სახელმწიფოებრივი და კულტურული მოღვაწეობის თანამზრახველსა და დაუღალავ მონაწილეს. გიორგი მონაზონისა და მწიგნობართუხუცესისა ღვაწლი იმდენად დიდი ყოფილა, ვითარცა თუალად წმიდისა ამისა კრებისა ცნობილთათვის. კრებას ძეგლისწერაში მისი მრავალჟამიერობაც შეუტანია“.**

გიორგი ჭყონდიდელის, როგორც მწიგნობართუხუცესისა და ვაზირთუპირველესის იდეები საფუძვლად დაედო დავით IV აღმაშენებლის მოღვაწეობას, რომელმაც მოიგო რა დიდგორის ომი, საქართველო განავრცო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.

მეფის მოძღვარი, მეფის მამა, მამულის მამა – ასეთად შემორჩა გიორგი ჭყონდიდელი საქართველოს ისტორიას, რომლის გარდაცვალების შესახებ **„ქართლის ცხოვრება“** წერს: **“ოვსეთს ყოფასა 1118 წელს მიიცვალა გიორგი ჭყონდიდელი, რომელიც მისმა აღმზრდელმა დავით მეფემ 40 დღის განმავლობაში იგლოვა”.**

ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია ისიც, რომ გიორგი ჭყონდიდელი მეფემ დიდი პატივით დაკრძალა. სათანადო წყაროები გვაუწყებენ იმასაც, რომ იგი თავდაპირველად დაასაფლავეს შიო-მღვიმის მონასტრის სავანეში, შემდეგ გადმოასვენეს გელათის მონასტრის სავანეში.

ჭყონდიდელის სახელი, როგორც დიდი რეფორმატორის, დიდი მოძღვრისა და სახელმწიფო მოღვაწისა, დავიწყებას არასოდეს მიეცემა. ქართველი ერის ცნობიერებას გიორგი ჭყონდიდელი, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, შემორჩა როგორც **„უკვდავების ბინადარი“**.

ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა წმინდანთა დასში შერაცხა დავით აღმაშენებლის მოძღვარი გიორგი ჭყონდიდელი.

წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის მოძღვრის – გიორგი ჭყონდიდელის ხსენების დღედ მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომამ დაადგინა 12 სექტემბერი (ძვ. სტილით), 25 სექტემბერი – ახალი სტილით. ამრიგად, გიორგი ჭყონდიდელი და დავით აღმაშენებელი, რომლებმაც შექმნეს ჭეშმარიტად ქართული სახელმწიფო, ისტორიას შემორჩნენ, როგორც ქართული სახელმწიფოს იდეოლოგები.

საქართველოს მეფეთ-მეფის – დავით აღმაშენებლის აღმზრდელი, ვაზირთუპირველესი, მწიგნობართუხუცესი და მეფის მთავრობის პრემიერ-მინისტრი გიორგი ჭყონდიდელი, მისი აღზრდილი მეფის შესახებ წერდა: **“დავით აღმაშენებელმა არა მარტო საქართველოს სახელმწიფო შექმნა, არამედ ქართველი კაცი, კაცი – ქართველი, რომელმაც შემდგომ შეიცნო თავისი ეროვნული თვითმყოფადობა და ეროვნული ღირსება“.**

აი, ასეთი ეროვნული თვითმყოფადობისა და ეროვნული ღირსების მქონე სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები მესიად მოვლინებოდა ჩვენს მრავალსაუკუნოვან და ბევრი ჭირ-ვარამ გამოვლილ ქართველ ერს.

ამბროსი ფაილოძე

ამის დაკარგვის, ან დავიწყების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს!



(ნაწყვეტები ვასილ ველიჩკოს წიგნიდან "კავკასია")

1904 წელს, ამ წიგნის ავტორის ვასილ ველიჩკოს გარდაცვალების შემდეგ, მისი მოსწავლეების მიერ „კავკასიის“ წიგნად გამოცემამ ძალზე ააფორიაქა მთელი პლანეტის სომხური მოსახლეობა. ინგლისში მცხოვრებმა სომეხმა დიდვაჭარმა გულბენკიანმა იმ დროისათვის ზღაპრული თანხა – ხუთი მილიონი ფუნტი სტერლინგი (დღევანდელი კურსით, დაახლოებით სამასი მილიონი დოლარი) – გადაიხადა, რათა ამ წიგნის მთელი ტირაჟი გაყიდვიდან ამოეღოთ და გაენადგურებინათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერაფერს გახდა. თუმცა, სომხებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს საწადელს, რადგან წინამდებარე წიგნი გახლავთ ვასილ ველიჩკოს მთლიანი ნაშრომის პირველი ტომი, მეორე ტომი კი, საერთოდ აღარ გამოსულა და, ჩვენი დიდი ძიების მიუხედავად, მაინც ვერ მოვახერხეთ მისი პოვნა. როგორც ჩანს, ამ ტომის ხელში ჩაგდება და განადგურება გარკვეული საზღაურის ფასად მაინც მოახერხეს სომხებმა.

როდესაც ეკლესიისა და პოლიტიკურ ორგანიზაციათა სტრუქტურები თანხვდებიან ერთმანეთს, მაშინ ეკლესიისთვის უცხო არ არის პოლიტიკისათვის დამახასიათებელი ის ბნელი საქმეები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან რელიგიურ-ზნეობრივ საწყისებს და სახელმწიფო წესრიგს. სომხეთის ნებისმიერ ეპარქიაში, თვით ეჩმიაძინშიც კი, ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობენ ის ერისკაცები, რომელთაც ხელთ უპყრიათ პოლიტიკური ინტრიგების ძაფები, ან ფულით სავსე სკივრების გასაღებები. მაგალითად, ტფილისის ყოფილ ქალაქისთავ გევორქ ევანგულიანს, რომელიც რუსულად ევანგულოვად იწერებოდა, დიდი გავლენა ჰქონდა ეჩმიაძინის საქმეებზე (ამასვე აღნიშნავს სომხური გაზეთი **"მშაკი"** (№116, 1987 წელი), რომელიც წერს: **"იგი წლების განმავლობაში თამაშობდა ეჩმიაძინის მონასტრის უახლოესი მრჩევლის როლს, და ყველაფერი, კარგი თუ ცუდი, რაც კი ამ ხნის განმავლობაში იქ მომხდარა, მისი რჩევითაა ჩადენილი, რასაც მისი მეგობრებიც კი არ მალავენ. მეგობრებმა არა მხოლოდ უნდა დაგკორტნონ, არამედ ისიც აღნიშნონ, თუ რა გაკეთდა კარგი, და რა – ცუდი"**. შემდეგ ამავე **მოღვაწეზე** გაზეთი **წერს: "იგი ცნობილია არა მხოლოდ როგორც ხალხთა სოლიდარობის მტერი, არამედ, როგორც არაგრიგორიანელ სომეხთა მტერიც. მიუხედავად თავისი უმაღლესი განათლებისა, იგი ყოველთვის ქადაგებდა, რომ "არ არის ხსნა სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის გარეშე"**. მისი ლოზუნგი ყოველთვის იყო: **"მიზანი ამართლებს საშუალებას", და უნდა ითქვას, რომ იგი დიდი წარმატებით ატარებდა ცხოვრებაში ამ იეზუიტურ შთაგონებას. იგი არასდროს სცემდა პატივს საზოგადოებრივ აზრს, არასდროს ემხრობოდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაკონტროლების უფლებებს"**. თავისი სხივმოსილი აზროვნების ამ ბოლო თავისებურებას ბატონი ევანგულოვი აშკარად და თვალნათლივ ამყღავნებდა თავისი დიქტატორული დამოკიდებულებით ტფილისის ქალაქის სათათბიროსადმი).

ისევე, როგორც ახლახან აკრძალული გაზეთი **"არძაგანქის"** გამომცემელმა, ვინმე აბგარ ოვანესიანმა, და როგორც მოსკოველმა ადვოკატმა გრიქურ ჯანშიევმა, რომელიც მოჩვენებითლიბერალ და მოჩვენებით-რუს პუბლიცისტადაც არის ცნობილი, ეშმაკმა კუზიანმა არწრუნმა, რომელიც გაზეთ **"მშაკის"** გამომცემელი იყო, კათალიკოსის ბოლო არჩევნებისას ეჩმიაძინის ტახტზე კინაღამ თავისი პროტეჟე წამოასკუპა. არსებობს იმის ეჭვიც, რომ ევანგულოვის მსგავსად, მას თავადაც სურდა ეჩმიაძინის ტახტის ხელში ჩაგდება. დღევანდელ დღესაც კი, ნებისმიერი მსხვილი ნავთობმრეწველი, იქნება იგი მანთაშოვი თუ ცატუროვი, თავხედურად ერევა თავისი ეკლესიის საქმეებში და ხშირად დიქტატორის ენითაც კი ესაუბრება მას.

ყოველივე ეს უნდა გავითვალისწინოთ აუცილებლად, უკანასკნელი პერიოდის თვალნათლივ მოვლენათა ობიექტურად შეფასებისას, რაც აშკარად ადასტურებს, რომ სომხურ ეკლესიაში ჭარბობს პოლიტიკური ელემენტი და რომ სომხურ უწესრიგობებში ბრალი მიუძღვის არა მხოლოდ სამღვდელოებას, იმდენად, რამდენადაც, ეს უწესრიგობები არის იმ ორგანიზაციათა საქმიანობის შედეგი, რომელშიც ჩართულია მთელი ხალხი, ეჩმიაძინის უმაღლესი ხელმძღვანელობით.

მოკლედ შეგახსენებთ დიდი ხნის განმავლობაში შემზადებული სომხური ამბოხის ზოგიერთ დინამიურ დეტალს, რომლებიც შემდგომში ნაადრევად იქნა აღიარებული. 1903 წლის 13 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, ალექსანდრეპოლის ერთ-ერთ ქუჩაზე ხანჯლით მოკლეს მართლმადიდებელი პროტოიერეი ვასილოვი, რომელსაც სომხური რევოლუციური კომიტეტი ემუქრებოდა სამი სომხური სოფლის მართლმადიდებლად მოქცევის გამო. კავკასიაში მიღებული წესის თანახმად, მკვლელი უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა. მანამდე ცოტა ხნით ადრე, ერთ-ერთმა, თურქეთიდან გამოსულ სომეხთა წრის დაქირავებულმა მკვლელმა, ერევნის რკინიგზის პატარა სადგურზე, ხანჯლით აჩეხა ეჩმიაძინის მაზრის სოფელ შაგრიარის მცხოვრები სტეფანე დრამპოვი, რომელზეც ეჭვი ჰქონდათ, რომ გასცა სომხური ნაციონალური მიზნებისათვის ფულის აკრეფის ორი მთავარი ორგანიზატორი; მცდარი ეჭვი გახლდათ, რადგან ჭეშმარიტად მთავარი ორგანიზატორები დღესაც ჩინებულად გრძნობენ თავს. ისინი ფეხით არასოდეს დაიარებიან და დღისით-მზისით დასეირნობენ თავისუფლად ძვირფასი ეკიპაჟებით, კავკასიისა და რუსეთის იმპერიის დედაქალაქის ბიუროკრატიის დიდი მხარდაჭერით სარგებლობენ, ატარებენ დამსახურების წოდებებს და მაკონტროლებელ ხელისუფლებას მათზე ხელი არ მიუწვდება.

სწორედ თურქეთიდან გამოსულ სომხებს, როგორც **"თურქული სკოლის"** უბადლო წარმომადგენლებს და წარმოშობით ნახევრადთურქებს, მიეწერებათ როგორც ზემოთთქმული, ასევე სხვა ხმაურიანი დანაშაულობები; საპროკურორო ზედამხედველობის ცნობით, როგორც **"ახალი დროების"** ერევნელი კორესპონდენტი, ბატონი გრიგორიევი იუწყება, სომხების მიერ ჩადენილი დანაშაულის 80 პროცენტი სწორედ თურქეთიდან გამოსულ სომხებზე მოდს, რომლებიც დაქირავებულ მკვლელთა ისედაც დიდ არმიას ყოველდღიურად ავსებენ და რომელთა მიერ მეტ-ნაკლებად ძალმომრეობით ხდება მოწყალების შეგროვება ყბადაღებული **"ნაციონალური მიზნებისათვის"**.

ცალკეული მკვლელობებისა და თავხედური გამოძალვების თაობაზე ინფორმაცია ხშირად არ ხვდება პრესაში, რადგან მასში ხშირად არიან ხოლმე გარეულები (ისევე, როგორც ჯამგაროვის საქმეში) იმ სომეხთა **"ინტელიგენტი"** შვილები, რომელთაც საკმაო ქონება და კავშირები გააჩნიათ მთელს ამიერკავკასიის მხარეში განთავსებულ სხვადასხვა დაწესებულებებში. ეჭვსგარეშეა ისიც, რომ დღეს მთელ კავკასიაში აშკარად იგრძნობა პოლიტიკური შანტაჟის შედეგად გამეფებული დამორგუნავი ატმოსფერო, რაც პრაქტიკულ შეხებაში მოდის როგორც სხვადასხვა რანგის მქონე მოსამსახურეებთან, ასევე უბრალო ობივატელთანაც (თვით განსვენებული ვ.ველიჩკო განიცდიდა დევნას როგორც გაზეთ **"კავკასიის"** რედაქტორობისას, ასევე ცხოვრების უკანასკნელ დღეებამდე. მას მოსდიოდა როგორც ანონიმური მუქარის წერილები, ასევე ისტერიული გინების შემცველი ბარათებიც, შანტაჟირების სხვა მეთოდებზე რომ აღარაფერი ვთქვათ).

დიდი ხნის განმავლობაში მიჩქმალულმა სოციალურ-პოლიტიკურმა სენმა ბოლოს ისეთი რელიეფური ფორმა მიიღო, რომ თვით კავკასიის პრესისთვისაც კი შეუძლებელი გახდა მისი წაჭრუება. ეს მოხდა 1903 წლის 12 ივნისს, როცა მისი უმაღლესობა იმპერატორის ნებით სომხური საეკლესიო ქონება სამოქალაქო ხელისუფლების მფლობელობაში გადავიდა. შემდეგ დამტკიცდა ამ სახელისუფლებო ღონისძიების ღრმა მიზანშეწონილობა, რომელსაც ძლიერ ოპოზიციად მოევლინა ზოგიერთი ჩვენი გავლენიანი სფეროც. აქ, კიდევ ერთხელ, მოკლედ უნდა გავიმეორო, რომ ეს არ იყო რელიგიისა და ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიება. პირიქით, იგი გახლდათ ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი სამკურნალო საშუალება სომხური ეკლესიისთვის, რომელიც ამ უკანასკნელს დაეხმარებოდა თავისი მაღალი ქრისტიანული ამოცანების განხორციელებაში პოლიტიკური ავანტიურისა და სხვა საძრახისი საქმინობისაგან მისი ჩამოშორებით. ამას მშვენივრად ხვდებიან მცირერიცხოვანი, დაქსაქსული ჭეშმარიტი სომეხი პატრიოტები, რომელთაც ახლა ხმას აკმენდინებს პოლიტიკური ტერორი. ამას სომხური სახალხო მასა მალე შეიგნებს, როგორც კი მეტნაკლებად განთავისუფლდება თვითმარქვია თავკაცებისაგან.

ამ ღონისძიების მოწინააღმდეგეები ტყუილუბრალოდ ვარაუდობდნენ, რომ მას თავისთავად შეეძლო სომხური სახალხო მასის უკმაყოფილების გამოწვევა. აქ, რა თქმა უნდა, დიდ როლს თამაშობდა ხელისუფლების მოხერხებული განმარტებითი საქმიანობა იმის თაობაზე, რომ საეკლესიო ქონებას არავითარი საფრთხე არ ემუქრება, და პირიქით, ხდება მისი დაცვა, რათა იგი გამოყენებულ არ იქნეს არაეკლესიური და არარელიგიური დანიშნულებით. ეჭვსგარეშეა, რომ სომეხი პოლიტიკანები ამტკიცებდნენ საპირისპიროს და თუ მათ საზოგადოების გარკვეული ნაწილის დარწმუნება შესძლეს, მხოლოდ იმიტომ, რომ სომხურ მოსახლეობასი ანტირუსული განწყობის დამნერგავი ორგანიზაციების საქმიანობამ უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად წაიწია წინ. უწესრიგობები, რაც ამას შემდგომში მოჰყვა, და რაზედაც მოგვიანებით დაწვრილებით ვისაუბრებთ, იქცნენ იმ ფასეულ რეაქტორებად, რომლებმაც დაგვანახეს, თუ რა მზადდებოდა, მწიფდებოდა და აუცილებლად იფეთქებდა რუსული საქმისათვის კიდევ უფრო არახელსაყრელი მდგომარეობისას. უნდა გვიხაროდეს, რომ გარდაუვალი მოსახდენი მოხდა დროზე ადრე და სომხურმა პოლიტიკურმა ინტრიგამ მანამდე გახსნა თავისი ბანქო, ვიდრე იგი საგრძნობ მასშტაბებს მიიღებდა.

სომხური საიდუმლო ორგანიზაციის არსებობა გამოვლინდა აღნიშნული ღონისძიებისაგან დამოუკიდებლადაც. იგი დასტურდებოდა უკვე ნახსენები პოლიტიკური მკვლელობებითა და სხვა დამახასიათებელი ფაქტორებითაც. ასე მაგალითად, ართვინის ოლქში დააპატიმრეს სომხების ბანდა, რომელთაც თავკაცობდა შტუტგარტის პოლიტექნიკუმის სტუდენტი აბრამიანი. ამ პატრიოტებს აღმოუჩინეს დროშა წარწერით: **"სიკვდილი ან თავისუფლება"**, თოფები, დინამიტები, ბომბები და სხვა. მანამდე, ამ ბრბოს წევრები ცხოვრობდნენ კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში. ეს ბრბო თითქოს თურქეთში მიდიოდა, მაგრამ, არ არის გამორიცხული, რომ ისინი რუსეთის იმპერიის ფარგლებში **"მოქმედებას"** აპირებდნენ. თანაც, ეს არ გახლავთ ერთეული შემთხვევა: 1903 წლის 29 აგვისტოს, ყარსში, კუბინსკის პოლკის ახლოს, ბნელ შესახვევში, ვიღაც განოევის ბინაში, ამერიკის ქვეშმდრომი სომეხი ჯონ ნახიკიანი მუშაობდა ხელყუმბარების დამზადებაზე. ეჭვსგარეშეა, რომ სომეხი პატრიოტი და მისი დამქაშები აპირებდნენ არა ქურთების წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ, დინამიტისა და სხვა ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენებით სურდათ პროტესტი გამოეთქვათ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის 12 ივნისის გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ბედისწერამ თავად დასაჯა ისინი – ყუმბარა აუფეთქდათ და თავად დაიღუპნენ.

შემდეგ, კავკასიის სხვადასხვა ადგილებიდან მოდის ცნობები სომხური ამბოხის აღმოცენების თაობაზე. ერევანში, ეჩმიაძინსა და მიმდებარე ტერიტორიებზე განლაგებულ სოფლებში წარმოუდგენელი ხმაური ატყდა. მთელი ბრბოები დაიძრნენ კათალიკოსისკენ და მოითხოვდნენ, რომ მას გაეპროტესტებინა არნიშნული კანონი, თუმცა, მოგვიანებით, სამღვდელოებამ აღიარა, რომ ეს მოთხოვნები ზედმეტი იყო, რადგან, კანონისადმი დაუმორჩილებლობის სიგნალი თავად ეჩმიაძინის პატრიარქისაგან მოდიოდა.

29 აგვისტოს, ელიზავეტპოლში, ქალაქგარეთ მდგარ სომხურ ეკლესიასთან ზარების რეკვის ხმაზე შეიკრიბა რამდენიმე ათასი სომეხი, რომელთაც უკუაგდეს პოლიცია და დაცვა, ხოლო დაშლის მოთხოვნას მათი მხრიდან ქვების სეტყვა და რევოლვერების სროლა მოჰყვა. საგანგებო მდგომარეობისათვის გამოძახებული ჯარი იძულებული გახდა, რომ იარაღი გამოეყენებინა, რის შემდეგაც ბრბო გაიფანტა და ადგილზე დარჩა შვიდი მოკლული და ოცდაშვიდი დაჭრილი.

ამ მოვლენას მოჰყვა უაღრესად მწვავე რეაქცია კავკასიის დედაქალაქის (მაშინდელი ტფილისი) მხრიდან, სადაც განთავსებული იყო მთავარი ადგილობრივი სახელმწიფო დაწესებულებები და ჯარების დიდი ნაწილი. ხელისუფლების მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადების თანახმად, 31 აგვისტოს, ტფილისში, სომხურ ეკლესიაში ჩატარებული ლიტურგიის შემდეგ, სამღვდელოებამ ეკლესიის ეზოში ჩაატარა იმ შვიდი დაღუპულის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი, რომლებიც ელიზავეტპოლის უწესრიგობებს შეეწირენ. პანაშვიდის შემდეგ მღვდელმა ტერ-არარატოვმა გამოაცხადა წყევლა **("ნოვოე ვრემიამ"** საფუძვლიანად იკითხა: – მაინც ვინ დაწყევლა მღვდელმა?) საეკლესიო ქონების ჩამორთმევისათვის. ამავდროულად ისროდნენ პროკლამაციებს და რევოლუციურ მოწოდებებს, ჰაერში დატრიალდა ქვები, ორმოცჯერ ესროლეს პოლიციელებს. უწესრიგობის აღმოსაფხვრელად გამოიძახეს კაზაკები, რომლებმაც დააპატიმრეს ამბოხის ოთხი მოთავე და თვით მღვდელი ტერ-არარატოვი.

1903 წლის 2 სექტემბერს ასეთივე უწესრიგობამ იფეთქა ყარსში, სახელმწიფო სახაზინო სამმართველოში სურპ-ნიშანისა და წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიების ქონების შემოსავალში აღების დროს. როგორც იუწყებოდა გაზეთი **"კავკასია"**, აქაც ზარის რეკვის ხმაზე თავი მოიყარა სომეხთა დიდმა ჯგუფმა და ალყა შემოარტყა სურპ-ნიშანის ეკლესიას. ისინი განთავსდნენ ეკლესიასთან მდგარი სახლების სახურავებზე და თვით სახლებშიც. პოლიციის მოთხოვნას, რომ ისინი დაშლილიყვნენ, მოჰყვა ქვების წვიმა და რევოლვერების **სროლა. გამოიძახეს ოლქის დაცვის რეზერვი და კაზაკთა ორი ასეული. სწრაფად მზარდი ბრბო მათაც ქვის მერეხითა და სროლით შეეგება. როცა დაშლის სიტყვიერ მოწოდებას სომეხთა მხრიდან მხოლოდ აგრესია მოჰყვა, წესრიგის დამცველები იძულებულნი გახდნენ გაეკეთებინათ გამაფრთხილებელი გასროლა, რის შემდეგაც ტერიტორია გაიწმინდა შფოთისთავებისაგან. ასევე ჯარის გამოყენებით დაიშალნენ მეამბოხეები წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიასთან, სადაც წესრიგის დამცველებმა დააპატიმრეს 77 სომეხი, მათ შორის ორი მღვდელი.**

კიდევ უფრო სასტიკი და ორგანიზებული წინააღმდეგობა გასწიეს ბაქოელმა სომხებმა, რომლებიც უფრო თავიანთი ნავთობის მეფეების ბრძანების შესრულებას იყვნენ შეგუებულები, ვიდრე რუსული ხელისუფლებისადმი მორჩილებას. იგივე გაზეთი **"კავკასიის"** ცნობით, ორი სექტემბრის დაახლოებით საღამოს ხუთ საათზე, ზარის რეკვის ხმაზე, შეიკრიბა სომეხთა დიდი ბრბო. ისინი ეკლესიას შემოერტყნენ გარს. აქაც, მათი დაშლის მოთხოვნას ქვების მერეხი და სროლა მოჰყვა. ისროდნენ თვით ეკლესიის ფანჯრებიდანაც კი. გამოძახებული იქნა კაზაკთა ორი ათეული და სალიანის ფეხოსანთა სარეზერვო ქვედანაყოფის ასორმოცდაათი **ჯარისკაცი. სომეხთა ბრბო ეკლესიის ეზოში და თვით ეკლესიაში ჩაიკეტა და იქიდან დაუშინა ჯარისკაცებს ქვები და ტყვიები. ჯარი იძულებული შეიქმნა იარაღი გამოეყენებინა. სომხებმა მოკლულები და დაჭრილები წამოკრიფეს და ეკლესიაში შეიკეტნენ, რომელსაც ჯარმა ალყა შემოარტყა. მეამბოხეთაგან 45 ადამიანი დააპატიმრეს, დანარჩენებმა კი გაქცევით უშველეს თავს.** ამოიღეს უამრავი იარაღი, მათ შორის, თვით ეკლესიის საკურთხეველში აღმოაჩინეს გადამალული რევოლვერები, ვაზნები, ცარიელი მასრები.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქეოლოგია – ეს არის მეცნიერება კაცობრიობის წაუკითხავი ისტორიის გამოსამგეურებლად, ამიტომაც სჭირდება მას განსაკუთრებული ყურადღება!

საქართველოში ბევრ გაუგებრობას, რაც ძირითადად პოლიტიკურ სარბიელზე აისახება, ერთი შეხედვით, მოწესრიგებულ კულტურულ სფეროშიც მრავლად ვხვდებით. როცა გაუგებრობა კანონთან მიმართებაში აისახება, საკითხს ბევრად უფრო მტკივნეულს ხდის, ვიდრე იგი სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა ყოფილიყო. თითქმის ყველა მთავრობა შეეცადა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კანონი არა ქვეყნის ინტერესების შესაბამისად, არამედ საკუთარი სარგებლობის მიხედვით შეედგინა და კანონი კი არ ერგებოდა ქვეყანას, უკლებლივ ყველა ხელისუფალი კანონს არგებდა საკუთარ ძალაუფლებას. ორივე შემთხვევაში დაზარალებული, (არქეოლოგია როგორც მეცნიერება) ქართული ეროვნული საქმე რჩება. არაფერს ვამბობთ სახელმწიფოზე, რადგან ეს მნიშვნელოვნად რთულია და სხვა დროს მივუბრუნდებით ამ საკითხს.

ამჯერად შევეხებით ახალ კანონებს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. კონკრეტულად კი არქეოლოგიურ ძეგლებთან და ზოგადად ამ მეცნიერებასთან ჩვენი კანონმდებლების დამოკიდებულებას.:

თავი IV

მუხლი 12. არქეოლოგიური გათხრების ჩატარების პირობა.

1. არქეოლოგიური მემკვიდრეობის ადგილზე შენარჩუნებისა და მისი მომავალი თაობების მიერ უკეთესი ტექნოლოგიებით შესწავლის მიზნით არქეოლოგიური ობიექტის გათხრა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია სამეცნიერო საკითხების გადასაჭრელად ან თუ არქეოლოგიურ მემკვიდრეობას სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და სხვა სახის საქმიანობით ან ბუნებრივი პროცესების შედეგად დაზიანება ან განადგურება ემუქრება.

ახალი არ იქნება თუ ვიტყვი, რომ დღეს მეცნიერების ყველა დარგს უჭირს, მაგრამ თუ ყურადღებით შეეხედავთ ზემოთ წაკითხულს, ეს სხვა არაფერია თუ არა არქეოლოგიის, როგორც მეცნიერების დასამარება. ჯერ ერთი, როგორ შეიძლება იმ მიზეზით, რომ მომავალი თაობა უკეთ შეისწავლის ტექნოლოგიური თვალსაზრისით ძეგლს და ამის გამო მასზე სამუშაოები არ აწარმოო, კურიოზს უფრო ჰგავს, ვიდრე **"მომავალში უკეთესი ტექნოლოგიების იმედად"** არქეოლოგიურ ძეგლებზე ზრუნვას. ასე, რომ ეფიქრათ გ.ნიორაძეს, ბ.კუფტინს, ო.ლორთქიფანიძეს და კიდევ რამდენი ჩამოვთვალო, იქნებ არქეოლოგია დღეს საქართველოში არც არსებულიყო, როგორც მეცნიერების დარგი. მინდა ამ კანონის შემოქმედთ შევახსენო, რომ არქეოლოგიური წყარო ერთადერთი წყაროა უძველესი ისტორიის შესასწავლად, განსაკუთრებით დამწერლობამდელი ეპოქის შესასწავლად; ის მნიშვნელოვანი, ამოუხსნელი კითხვები, რაც ჩვენს უმდიდრეს, უძველეს წარსულთანაა დაკავშირებული, მხოლოდ არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად გაიხსნება.

ხომ წარმოგიდგენიათ დღეს, რომ არ გვქონდეს მცხეთა, დმანისი, ვანი, დევისხვრელი და კიდევ უამრავი არქეოლოგიური ძეგლი, რამდენად დარიბი გამოჩნდებოდა ჩვენი ისტორია. ამ მიმართულებით რომ წავიდეთ, საერთოდ უნდა ავიღოთ ხელი ფაზისის ძიებაზე, არადა სწორედ ამ ქალაქის აღმოჩენა გადაგვიშლის უნიკალური კოლხური კულტურის მრავალ საინტერესო ფურცელს.

არ მინდა ვინმემ ფანტასტიკის სფეროში გადასვლად ჩამითვალოს, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ მსოფლიო აალაპარაკა ქართველი მეცნიერის, მათემატიკოს გია კვაშილავას მიერ ცნობილი **"ფესტოსის დისკოს"** წარწერის გაშიფრვამ, რომელსაც ასი წლის მანძილზე უშედეგოდ უკირკიტებდა ასეულობით მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი.

... საოცრებაა – **წარწერა ძველკოლხური აღმოჩნდა და მისი წაკითხვა უძველესი კოლხეთის მკვიდრმა შეიძლო!..**

ნება მიბოძეთ დავსვა ერთი გაბედული შეკითხვა: რატომ არ უნდა ვივარაუდოთ მსგავწარწერიანი არქეოლოგიური მასალების არსებობა საქართველოს კოლხეთის ტერიტორიაზე, რომელიც კატასტროფულად მწირადაა შესწავლილი?!. და თუ ასე გაგრძელდა, საერთოდ უნდა შევწყვიტოთ ამ მიმართულებით კვლევები.

ვინ შეისწავლის მას, თუ კი საკუთარი მაღალიკვალიფიციური კადრები არ გვეყოლება?.. იმ პერსპექტივით, რასაც დღევანდელი კანონმდებლობა არქეოლოგიაზე გვთავაზობს, პროფესიონალი, ახალი კადრების მომზადების იმედი არ უნდა ვიქონიოთ!.. ისიც უნდა ითქვას, რომ, ხშირ შემთხვევაში, თუ კი **"ახლო და კარგი"** ურთიერთობა არ გაგაჩნია ამ დარგის ხელმძღვანელ **"ამხანაგებთან"** რაც გინდ ნიჭიერი და პროფესიონალი იყო ძეგლზე მუშაობის უფლებას და რაც მთავარია იმ მწირ დაფინანსებასაც ვერ მიიღებ, რასაც იშვიათად, მაგრამ მაინც იმეტებენ ამ სფეროში. ისიც გასათვალისწინებელია, როგორ შეიძლება მომავალმა არქეოლოგმა არქეოლოგიურ ძეგლთან მუშაობა მხოლოდ ნახევრად დანგრეულ, ან დანგრეულ ძეგლზე ისწავლოს?!. წარმოიდგინეთ მისი უსუსურობა, შემთხვევით სადმე სრულფასოვან ძეგლს რომ გადააწყდეს?..

იმის მაგივრად, რომ ამ დარგის განვითარებას მაქსიმალურად შეეწყოს ხელი, კანონმდებლობოითაც გვიკანონებენ მის გარდაცვალებას. მიზეზად ის მოაქვთ, რომ რა დროს არქეოლოგიური ძეგლებია, ეკლესიები თავზე გვენგრევაო!.. საქართველოში ყველა ხუროთმოძღვრული ძეგლი საჭიროებს დახმარებას, რასაც ათეულობით წელი დაჭირდება და ამის გამო ჩვენს ძველ ისტორიაზე უარის თქმა და ერთის სასარგებლოდ, მეცნიერების მეორე დარგის დასამარება ვერაფერი შედავათია. თან არა მგონია ესენი ერთმანეთს ხელს უშლიდნენ, ყოველთვის ხერხდებოდა არქეოლოგიური ექსპედიციების მოწყობა და სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებაც, ისე რომ არც ერთი დარგი ზარალდებოდა და არც მეორე. ჩვენ ხომ, როგორც ახლა გვიმტკიცებენ, ამ მხრივ ოქროს ხანაში ვცხოვრობთ, თითქოს – **"ასეთი მასშტაბური სამუშაოები კულტურის (განსაკუთრებით ძეგლთა დაცვის სფეროში) ისტორიას არ ახსოვს, რომ სახელმწიფომ პირველად გამოიჩინა ესოდენ დიდი ყურადღება ჩვენი ძეგლების მიმართ..."**

სარესტავრაციო სამუშაოები ადრეც ინტენსიურად მიმდინარეობდა და დღევანდელისაგან განსხვავებით – არა ასეთი ფრიად საეჭვო „**დამკვრელური**" ტემპით!..

ხანდაზმულ არქეოლოგთა თქმით, ყოფილა შემთხვევა, როცა სეზონზე 70 ექსპედიცია ერთად გასულა, მაგრამ სწორედ ხანდაზმულ არქეოლოგ მინისტრს დაავიწყდა ეს, როცა პრეზიდენტს განუცხადა **"ასეთი მასშტაბური სამუშაოები ჯერ არ ჩატარებულაო!.."** უმეტესწილად ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ჩვენთვის მხოლოდ მათი რაოდენობა და გრანდიოზულობა იყოს მნიშვნელოვანი. თან რაც მთავრია, უნდა აღვასრულოთ ქვეყნის პირველი პირის ბრძანება (რომელსაც ელემენტარული წარმოდგენა არა აქვს ათასწლოვანი ძეგლის, რესტავრაცაზე და მისთვის საჭირო აუცილებელ ვადებზე...), თუნდაც შეცდომების დაშვების ხარჯზე, მის მიერ ნაბრძანებ დროში დავასრულოთ ისეთი ტაძრის რესტავრაცია (პრაქტიკულად მის ათასწლოვან საძირკველზე ახლის აშენება!) როგორიც ბაგრატია – **რბილად რომ ვთქვათ დანაშაულია!..**

– ყველა იმათ საყურადღებოდ ვისაც მსგავსი ძეგლის კულტურულ და ისტორიულ მნიშვნელობაზე წარმოდგენა აქვს:

– ზემოთთქმული მარტო ჩემი პირადი აზრი არ გახლავთ, ასე ფიქრობენ ყველა ისინი, ვისაც მთელი სიცოცხლე ისტორიული ძეგლების რესტავრაციისათვის მიუძღვნიათ. ისინი ამ აზრს ხმამაღლა არ გამოთქვამენ მრავალი მოსაზრების გამო: **"... რა აზრი აქვს, მაინც არავინ მოგვისმენს!.."** ან კიდევ – **"ამ გაჭირვების ჟამს ახალ მტერს ხომ არ გავიჩენო!"**

იქნებ ყველანი დავფიქრდეთ, ვისთვისაც ეს საკითხი წმინდა პროფესიული მოვალეობაა და ხმამაღლა ვთქვათ, რომ დამკვრელური წესით ამ სფეროში მუშაობა, თუნდაც იგი პრეზიდენტისგან იყოს ნაბრძანები, უსათუოდ საბედისწერო შეცდომამდე მიგვიყვანს!..

ალბათ დამეთანხმებით, რომ ასეთი ტაძრის რესტავრაციას მრავალწლიანი ღრმა კვლევა ჭირდება, თან ისეთი მეთოდებით, რომელიც ჩვენ დღეს სამწუხაროდ საქართველოში არ გაგვაჩნია. უცხოეთში სპეციალური კომპიუტერული მოწყობილობით წლების განმავლობაში აკვირდებიან და სწავლობენ ძეგლს. მაგრამ, ჩვენ, რომ ამ პრინციპით ვიმუშაოთ უცხოელი მეგობრების დახმარებით, ძეგლის აღდგენის წესს და მეთოდებს არავინ დაგვარღვევინებს და რაც მთავარია – **სათქმელი აღარ იქნება წელს 80 ძეგლი აღდგაო!..** არადა, იმავე უცხოელის სამშობლოში მხოლოდ ერთი ძეგლის, ისიც მეორე მსოფლიო ომის დროს დანგრეული დრეზდენის დედათა ტაძრის აღდგენას რამდენიმე წელიწადი მოუნდნენ და 80 მილიონი ევრო დაჯდა!..

დავუბრუნდები ისევ არქეოლოგიას და კიდევ ერთ, კანონის უკუდმართობაზე გავამახვილებ თვენს ყურადღებას:

"მეცნიერს არ აქვს უფლება ძეგლზე სამუშაოები აწარმოოს, თუ არ ექნება მესაკუთრის ნებართვა, ვის ტერიტორიაზეც ეს ძეგლი მდებარეობს., გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა".

ხომ არ აჯობებდა კულტურის ყველა ძეგლი სახელმწიფოს საკუთრებად გამოგვეცხადებინა და მესაკუთრის შესაბამისი კომპენსაციით შემოვფარგლულიყავით. რადგან აქ გასათვალისწინებელია რამოდენიმე ფაქტორი: ის, რომ საქართველოში ბევრი არაქართული მოსახლეობაა, ვისთვისაც შეიძლება სულაც არ იყოს მნიშვნელოვანი იმ ძეგლის შესწავლა და არც არასოდეს იფიქროს სხვისთვის ნებართვის მიცემაზე?.. და ყველაზე საგანგაშო – ვინ და რა კრიტერიუმით ადგენს კონკრეტული ძეგლის ღირებულებას? თუ იგი **"მესაკუთრისა"** და სახელმწიფოს ვაჭრობის "**შნო და მარიფათზეა**" დამოკიდებული?!.

დაუფარავად უნდა ითქვას, ეს ის შემთხვევაა, რომელიც "**შავი არქეოლოგიის**" განვითარებას უწყობს ხელს. დღეს საქართველოში, განსაკუთრებით კახეთის რეგიონში (სადაც შეიძლება ეზოებშიც ქონდეთ სამარხი, ყორღანი), ხშირია შემთხვევები, როცა თვითნებურად აწარმოებენ გათხრებს და ჩალის ფასად ყიდიან უნიკალურ ნივთებს, რომელთა არსებობას ჩვენ ვეღარასოდეს გავიგებთ. გაოცებული და გაოგნებული დავრჩი, როცა ერთ-ერთი სოფლიდან ჩემმა მეგობრებმა 3 ლარად შეძენილი, ბრინჯაოს ხანის და შუა საუკუნეების თიხის ჭურჭლები ჩამოიტანეს, თან იმას ყვებოდნენ 33 ნივთს 100 ლარად გვაძლევდნენ, ფული არ გვქონდა, თორემ არც დავფიქრდებოდითო. ბრინჯაოს, ვერცხლის და ოქროს უნიკალურ ნაკეთობებსაც შეიძენ, თუ ფულიც გაქვს და კონფინდენციალურობასაც დაიცავ. ეს ხომ საკუთარი ისტორიის გაყიდვაა, რაშიც ბოლომდე იქაურ გაუთვიცნობიერებელ მოსახლეს ვერ დაადანაშაულებ, რომელიც თავის რჩენის მიზნით აკეთებს ამას.

ამგვარ ქმედებაზე ყველას მოეთხოვება მკაცრად პასუხი, რაც პირველ რიგში მთავრობამ უნდა უზრუნველყოს და არა ხელი შეუწყოს მსგავსი ვანდალიზმების განვითარებას ქვეყანაში. მართალია ამგავარ ქმედებას კანონი სჯის, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია თითოეულ მოსახლეს 24 საათიანი მეთვალყურეობა დაუწესო. მან იცის, რომ მისი ნებართვის გარეშე მის მიწაზე აღმოჩენილ სამარხს ხელს ვერ დააკარებ (მითუმეტეს, ახალი კანონით "**თუ ძეგლი არ ზიანდება**" საერთოდ გამოსულია ის სახელმწიფოს ინტერესებიდან).

საბოლოოდ, თითქოს პიროვნების უფლებების დაცვით შენიღბული კანონები, ყველაზე მნიშვნელოვანს, ქვეყნის და მისი ისტორიის შესწავლას აყენებს გამოუსწორებელ ზიანს!..

კიდევ ერთი საინტერესო მუხლი გვაქვს კანონში კულტურული მემკვიდრეობის შესახებ:

მუხლი 17. ძეგლისათვის ძეგლის სტატუსის მოხსნა ***(21.11.2008 528)***

ძეგლისათვის ძეგლის სტატუსის მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე (გარდა ამ კანონის V[1] თავით გათვალისწინებული შემთხვევებისა), იმ შემთხვევაში, თუ იგი განადგურდა ან ისე დაზიანდა, რომ დაკარგა ისტორიული ან კულტურული ღირებულება, რომლის აღდგენა შეუძლებელია, ან, მეცნიერული (მეთოდოლოგიური) კრიტერიუმებით, დაკარგა ის ძირითადი მახასიათებელი, რომლის გამოც მას მიენიჭა ძეგლის სტატუსი.

წარმოიდგინეთ რამდენმა ძეგლმა დაკარგა ეს სტატუსი, დაინტერესებულ პირთა ძეგლის შეგნებულად დაზიანების, თუ ხელისუფლების დაუდევრობის გამო. სამაგალითოდ მარტო ძველი თბილისის შემთხვევები იკმარებდა (ეს კიდევ ცალკე სასაუბრო თემაა, რაც ძველ თბილისში ხდებოდა და ხდება!..).

კანონში დაშვებული მსგავსი ხარვეზის შემდეგ, ყოვლად გაუგებარი და გაუმართლებელია მუზეუმების და ისტორიული ძეგლების 49 წლით უცხოელი თუ უცნობი ინვესტორისთვის იჯარით გადაცემა. როგორც ამბობენ, ამის არასახარბიელო მაგალითს, იქ მიმდინარე სახეცვლილებების გამო, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლმუზეუმი და უნიკალური პარკი წარმოადგენს წინანდალში.

... ამბობენ – **არა მარტო ქართული, მსოფლიო კულტურის საგანძური, შუა საუკუნეების კლდეში ნაკვეთი ციხე-ქალაქი, მართმადიდებლური სამყაროს უნიკალური ძეგლი ვარძია და მისი შემოგარენი უცხოელ ინვესტორებს უნდა გადაეცეს ზემოთხსენებულის მსგავსი მრავალწლიანი იჯარით, რის გამოც, ადგილობრივ, სახელმწიფოს მიერ ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულ მფლობელებს უარი ათქმევინეს მის პატრონობაზეო!..**

– ასწლეულების განმავლობაში ვარძია საქართველოს იცავდა გარეშე მტრებისაგან, ქართველობა კი ვარძიას შემოსეულ მტერთა ხელყოფისაგან. ხშირ შემთხვევაში ეს ორმხრივი მისია წარმატებით სრულდებოდა.

... სამწუხაროდ, იდგა ჟამი, როცა დამარცხებული – ციხე-ქალაქი და მისი გმირი მეციხოვნენი რჩებოდნენ, მაგრამ – **უცხო ჯიშისთვის ნებაყოფლობით იგი არასოდეს ჩაუბარებიათ!..**

– იქნებ ღირდეს, ამაზეც რომ დავფიქრდეთ?!.

ნინო პატარიძე

ხსოვნის სტრიქონები

ნაწყვეტებს მეგრულ ენაზე შექმნილი ისტორიული პოემიდან "ბულათია", რომლის ავტორი გახლავთ თავდადებული მამულიშვილი და ჭეშმარიტი პოეტი დანიელ პავლეს ძე ფიფია, გთავაზობთ გაზეთ "ილორში". 113-ე წელი ილევა პოეტის დაბადებიდან. იგი 28 წლის ასაკში შეიწირა პოლიტიკურმა უამინდობამ – სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული გულანთებული პატრიოტი 1924 წლის თებერვალში დააპატიმრეს იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი პროპაგანდისტი. დაპატიმრებისას დანიელ ფიფია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსზე სწავლობდა.

ბულათია

დანიელ ფიფია

ტოლიში ოჭირინაფუსი
ირი ართო ვეშე, ვეშა,
ნტია ვარე მოკი-მუკი
ორე ართო კოჩიში ეფშა.
მუშენი ილგნც ხი ზღვაშორო,
მის მიაჩე დუდი თეშა?!
მუ ამბე რდას ნოტე თაქი,
შიყარენა მუში გეშა?!
ყაზახეფი არიებე,
უტუ მიქა ყენა ნჯღვერო,
მესიაკონი მართალია
თიში ალმარენჯი ჭკვერო.
თავადი დო ჟინოსქუა
აძირენა თუნთო, ნგერო;
წელი გენწყგმუ პატგნემც
საქმე მეურს თიში ნერო,
ამდღა თაქი გიშეგორუ
უნჩაშეფო თარი, თარი,
ბერაღისგ ეჭოფუნცუ
სამანცარი უტუში ნჯარი.
არგამათგ... ვართი ჭორო,
პოპორც ორთგ ხი ზღვაშორო.
გეგნიყოთასი უჩა ორო,
ის ანწი ვაკო რდასი ჭკორო –
თეშენი ილგნც ხი ზღვაშორო
გურიელხეს დუართათ,
ფარნაოზი ლახირო ყუნცუ.
გეხანგ დო გეგნილასგ,
ღვა დო თომას ისოფუნცუ.
ოფირქ მუჭო ბულათიას
ხე დო კუჩხის გეუკირნც
სვერეხი თიში გნატებუ
ზუგდიდიშა მეფურინგნცგ
მარა ამბექ მოურთგნი
ჩქიმი ტერცგ ეთიცალი,
გეგონ ბუნტი ქგდოჭყაფე
ონტუ ქიყანასი ალი.
ბულათიაქ ქაშაჭყორდ
დო ირფელი შხვაქგთი
მახორობა მიოტუ
გეკილუ მუშათი.
აიშა ხეთ გილაყუნდესი
ქიშქიდუ მუშით,
გურიაშა გენირულუ
სქუალამო კუჩხით.
ბორჯი, იფრელ სი გობარ,
ულირი რენი დო მუმალგ,
სორე ბორჯი სი ვაყოფექ,
სო ვემიოხე სქანი ნალგ.
მირსიოლუქ უმუხარცქო
ირო არტი ნერი მალგ.
სი გიჩქ სოდე მი ჩილათე,
სო მის უღუ ნაინალგ.
სი რშგ თინა მუთი ვაშ
მითინც ცა დო დიხაშქას,
სი უჯინედ სარიკოსგ –
დიხაში ბჟაშე მოხარცქასგ.
სი ვარენო გიჯინუნი
დიხაში პირველი დორთაფაშა,
სი გიჯინუ პირველი სერი,
პირველი დღაში გოთანაშა.
სი მითინცგ პატის ვაცე
სამართალი გიღუ თინგ,
ხვალე ართი სქანი წკალა
მითინც ხანდა ვაუდინგ.
კოჩი მუში მოჯგირეს
ჯა დო ქუას ოყოთანც,
უბადოში ცქვაფა უჩქგ,
ჯგირცგ თხოზ, ოგორანცგ.
არძო ფიქრენც მუ ორთგნი
ირკოჩ შხვაში უჯგუშის,
ბორჯის ვაუჩქ მეფერაფა,
არძოს არძენს მუშუშის.

სანამდისინ თვალი წვდება
დარაზმულებს ვხედავთ რამდენს.
ადარ არის კაცთა ტევა
ველებიდან ველებამდე.
რა ღელვაა ეს ზღვასავით
ხალხმა თავი რად იმეტა.
რით შემდგარა უნაპირო
თავყრილობა ასე ნეტა?!
– ეს გლეხობა არეულა
უტუ მიქა წინამძღვარობს,
გულთმისანი მართალია
გვერდით ჰყავს, რომ დაიხმაროს,
თავადი და აზნაური.
ესახებათ მგელად, დათვად.
ბატონთ წელი მოწყვეტიათ,
საქმე მათი მიდის ავად.
დღეს მოხდება მეთაურთა
საქებართა არჩევანი,
დღეს აქ უნდა აღიმართოს
ბაირაღი უტუს ჯარის.
აშკარადა, არ ფარულად
ნებავთ უღლის გადაგდება,
მისთვის თავი დაუწინდავთ,
მისცემიან მღელვარებას.
უკვე ზღვისებრ ბობოქრობენ
აღარ უნდათ აწი ყმობა.
ახლა ვნახოთ გურიელხე
შვილნაცემი რასა შვრება.
შეშლილია, შერყეული
თმების გლეჯით იფოფრება.
ბრძანებს ბულას გამოკოჭვას,
რომ დაასხა თავზე ლაფი.
სვერეხია გაგზავნილი
ზუგდიდისკენ მიიაწრაფვის.
ამბავი მან რომ შეიტყო
მტერს სმენოდეს ისეთია,
მოახსენეს ჯანყიაო
არეს ცეცხლი უკეთია.
დაავიწყდა ბულათია
და ასევე სხვა მრავალი,
სახლ-კარიც კი მიატოვა
ამოჭედა შესავალი.
გულგოროზმა ქალბატონმა
უსაზომო ფეთითა,
გურიას ძლივს ჩააღწია
შვილიანად, ფეხითა.
დროვ, ყოვლისა უფალი ხარ,
წარსულის თუ მომავლის.
შენ სადაა არ ყოფილხარ
სად არ მოსჩანს შენი კვალი.
მისრიალებ უწყვეტ ქროლვით,
ვერ დაგძალავს დაღლა, რული.
ეს შენ უწყი უცდომელად
ვის სადა აქვს ნამსახური.
უხსოვარი შენდა გახსოვს
მეუფეობ ქვეყნის ყოფას
შენ უცქერდი საარაკოს
მიწის მზისგან გამოყოფას.
ეს პირველი შენ გაიგე დედამიწის დაბრუნება,
როგორ მოხდა ქვეყანაზე
დაღამება, გათენება.
შენ არავის არ ეკრძალვი,
ყველას მისი უსწორდება,
მხოლოდ შენით ამა ქვეყნად
ნამსახური არ უქმდება.
კაცი ხშირად მოამაგეს
ქვას და ყორეს აყრისა,
ავის მაქებარია და
დამგმობია კარგისა.
ყველა მათგანს ასე სჯერა
სხვის უკეთესს სჩადისა,
დრომ არ იცის მოფერება,
ყველას აძლევს თავისას.

მ ა ფ ა ლ უ

ამ დასკვნით ვამთავრებთ ნაწყვეტების გამოქვეყნებას პროფესორ გიორგი ციციშვილის შესანიშნავი ნაწარმოებიდან **"მაფალუ"**. შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ ასევე ნაწყვეტებს ბატონების გიორგი ციციშვილისა და ვახტანგ გვარამიას არანაკლებ საინტერესო წიგნიდან **"სამეგრელოს საკითხი"**, რომელთა ავტორთა ხანგრძლივი დაკვირვებისა და მძიმე შრომის ნაყოფი გახლავთ.

დასკვნა

მაშასადამე, საბჭოთა 20-იანი წლების სამეგრელოში, ისე როგორც ადრეული პერიოდის დანარჩენ საქართველოში, მართლაც ჰქონდა ადგილი ერთეული, დაბნეული ქართველების ანტიეროვნულ გამოვლინებებს. მაგრამ არა **"ტენდენციებსა"** და **"პროცესებს"**. მათი განზოგადება ისეთივე შეცდომაა, როგორც ილიას, ზვიადის და გურამ შარაძის მკვლელობათა გამო მთელი ქართველების დადანაშაულება იქნებოდა. საბჭოთა პერიოდის ძირითადად მშობლიურ მეგრულ ენაზე მოლაპარაკე სამეგრელოში ე.წ. **"ჩხოუშიელთა"** ავტონომისტ-სეპარატისტების საჩივრებისა და მისწრაფებების აღმოცენება, ასაზრდოვა საბჭოთა კავშირის და საქართველოს ხელისუფლების იდეურ-პოლიტიკურმა მიზანდასახულობებმა, მათი ხელისუფლების წარმომადგენელთა ბიუროკრატულ-დოგმატურმა, პოლიტიკანურმა აზროვნებამ და პოლიტიკური მართვის მიზნით გამოყენებულმა ჩეკისტურმა მეთოდებმა. მათი წამქეზებლის როლი შეასრულა, ერთი მხრივ მეგრული დედაენის მქონე სამეგრელოს საბჭოური ცხოვრების ავტონომიურად თუ კულტურულ-ადმინისტრაციულად მოწყობით პირადათ სტალინისა და ცალკეული კომუნისტი ხელმძღვანელების დაიმედებამ, ხოლო შემდეგ კი, მათივე ადრინდელი აზრის და წამოწყებების უარყოფამ. მეორე მხრივ, ამ ადრე დაიმედებულ, ყოფილ ავტონომისტთა დევნამ საქართველოს ნაციონალურ-უკლონისტური და ტოტალიტარული ხელმძღვანელობის მხრივ, აგრეთვე სამეგრელოს მცხოვრებთა ძირითადი მასის, გლეხობის, საარსებო სოციალური ფუნქციის შესრულებისათვის საჭირო გარდამავალი ღონისძიებების, სამეგრელოს კულტურულ-ადმინისტრაციული მოწყობის გამორიცხვამ და მეგრული ენის გამოყენების იგნორირებამ. დიახ, ამ საფუძველზე აღმოცენდა ზუგდიდის მაზრის გლეხობის იდუმალი და ინტელიგენციის წარმომადგენელთა სამართლიანი თუ აგრეთვე უსამართლო უკმაყოფილება.

ამიერკავკასიის და საქართველოს ტოტალიტარულმა ხელმძღვანელმა ცენტრებმა **"მეგრული საკითხის"** მოგვარების მიზნით მხოლოდ შეკვეცილი პოლიტიკური ღონისძიებები შეიმუშავეს და ისიც, სოციალურად მტკივნეული ათი წლის მანძილზე, მხოლოდ ქაღალდზე დასახეს. ამის მთავარი მიზეზი იყო ხელისუფლების მიერ 1924 და შემდგომი წლების რეპრესიული პოლიტიკით გამოწვეული საერთო ეროვნული უკმაყოფილების განმუხტვის მცდელობა. ამ დროს, ხელისუფლებამ გაითამაშა სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნის ქვეყნის ახალ რეალურ ეროვნულ საშიშროებად გაყალბებული წარმოჩენა და მისი მყისიერი აცილების იმიტაცია მოახდინა. ხელისუფლებამ ამ პროცესში აქტიურად ჩააბა ჩეკა. გაათამაშეს და მიაღწიეს აჯანყების მონაწილეთა სასტიკი რეპრესიებით უკიდურესად უკმაყოფილო ქართველი პატრიოტი ინტელიგენციის და ქართველი ხალხის გაბიაბრუებას, უკმაყოფილო მასებში უნდობლობის ვოტუმის ნეიტრალიზებას და ზოგი პატრიოტის მიმხრობა-გადაბირებასაც. ამ მთავარი პარტიულ-სახელმწიფოებრივი ამოცანის განხორციელებას მიეძღვნა ზოგი ავტონომისტ-სეპარატისტის გასახლება, ზოგის დაპატიმრება, ზოგის პარტიიდან გარიცხვა და საჯარო გაკიცხვა. ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი და მისი თავმჯდომარე ისაკი ჟვანია კი, რომლებიც ცდილობდნენ **"მეგრული საკითხის"** სამართლიანად მოგვარებას, ყალბად გამოაცხადეს ავტონომისტების მხარდამჭერებად. მოიზიდეს თვალსაჩინო ეროვნული პატრიოტები, რომლებიც მეხად დაატყდნენ ვითომ დიდი ეროვნული საფრთხის შემქმნელ ათიოდე **"ავტონომისტ-სეპარატისტს"**. მაგრამ მათ არაფერი თქვეს ან არ ათქმევინეს მეგრული ენის საჭიროების და სხვა პრობლემების შესახებ. ამ გაყალბებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კამპანიით ხელისუფლებამ მართლაც მიაღწია საკუთრივ ნასაზრდოები **"ჩხოუშიელი"** ავტონომისტ-სეპარატისტების ცარიზმის რუსიფიკატორების და მათი ქართველი დამქაშების საქმიანობის ფესვზე ამოსულად გასაღებასა და მათი **"მაფალუელებად"** მონათვლას. ამით მიაღწიეს მასის გაბიაბრუებისა და ზოგი პატრიოტის გულისმოგებასაც. მართლაც, შეიქმნა ყალბი შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებამ და **"სამეგრელოს ავტონომისტების"** წინააღმდეგ განსაკუთრებით აქტიურად მებრძოლმა ლ. ბერიამ იხსნა ავტონომიებით ისედაც დახუნძლული საქართველო და კიდევ ერთი, და საქართველოსთვის **"უთუოდ დამღუპველი"** სამეგრელოს ავტონომიის შექმნისაგან. მაგრამ ასეთი რეალობა არ არსებობდა, ამ ტყუილს კი დღესაც იმეორებს ისტორიის რეალურ სიმართლეში ჩაუხედავი ზოგი ჩვენი თანამედროვე სწავლული. მაგრამ სახელმწიფოებრივ-ჩეკისტურმა თაღლითობამ ყველა როდი აცდუნა. უთუოდ ამიტომ არ იძებნება საპტიის და ბერიას ამ **"გამარჯვების"** გამო ქართლი ანტისაბჭოთა მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა სოლიდარობისა და აღფრთოვანების ამსახველი წყაროები. **"საქართველოს უთუო დაღუპვის"** მომასწავებელი მეგრული საშიშროების, ანუ სამეგრელოს ავტონომიის მოგერიებაზე კარგს არაფერს ამბობენ ანტისაბჭოთა ჩვენი და ემიგრანტული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები. ამის მიზეზი, ჩემის აზრით ისაა, რომ მათ სწორედ გაიგეს **"მეგრული საკითხის"** სახელმწიფოებრივი მოგვარების ფარსიც და ძალადობის არსიც. ალბათ ამიტომ მოგვეპოვება **"მაფალუს"** საქმიანობის დადებითად შემფასებელი სპეციალური პუბლიკაცია, რომელშიც ავტორისეული, ორიგინალური დადებითი აზრით არის სეფასებული **"მაფალუს მოძრაობა"** და **"მეგრული საკითხის"** მოგვარების პერსპექტივა...

...რაც ზემოთ მოგახსენეთ მხოლოდ მცირე, აუცილებელი ნაწილია იმ სიყალბის წინააღმდეგ, რომელიც მეგრული სეპარატიზმის **"ტენდენციების", "პროცესების", "პოლიტიკური ძალების"** და **"მოღალატეობის"** არარსებობის შესახებ ამ წიგნში მათქმევინეს ჩემმა მაგინებელმა ვაიოპონენტებმა. ამ დანართით შევეცადე როგორც დაინტერესებული მკითხველისათვის, ისე მოწინააღმდეგეებისათვის მომეცა ის ძირითადი არგუმენტაცია და კონცეფცია, რომელიც ჩემი ხანგრძლივი კვლევა-ძიებით ჩამომიყალიბდა. მაგრამ არსებობს მათი და ყველა დანარჩენი ურწმუნო თომების მოგერიების და სიმართლის გაგების შემოთავაზებული უაღრესად ვრცელი ფუნდამენტურ-კაპიტალური შესაძლებლობაც. ამაში გვარწმუნებს არა მარტო ზემოთ მოთხრობილი, არამედ უმთავრესად ჩემს მიერ მომზადებულ ტევად წიგნში მობილიზებული და უამრავი წყაროების სკრუპულიოზური მეცნიერული ანალიზის საფუძველზე წარმოჩენილი ვრცელი ისტორია. ამ ისტორიით საგნობრივად დასტურდება წინამდებარე მეცნიერული გამოკვლევის აქტუალობაც, მეცნიერულ-პოლიტიკური მნიშვნელობაცა და ღირებულებაც. მაშასადამე, პრობლემა ჩემს მიერ საბოლოოდ მხოლოდ ჩემი ფუნდამენტურ-მონოგრაფიული წიგნის, ან წინამდებარე წიგნის მსგავსი დოკუმენტური ნარკვევების სერიის გამოქვეყნებით გაშუქდება.

გიორგი ციციშვილი

სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.
ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

კორნელი ბოროზდინი

კოჩა თოდუას მეპატრონე კორძაია გვიამბობდა, რომ ჩემი მეამბოხე ყმა განსაკუთრებით კეთილგანწყობილი იყო ჩემთანაო და ერთხელ ღირსი გამხადა კიდეც ჩემს სახლში მობრძანებულიყო თავისი ამალით და ჩემთან სადილი მიერთმიაო. მე გავუმასპინძლდი, როგორც საპატიო სტუმარს, და როცა ნასადილევს ტახტზე იყო წამოწოლილი, მე ჩემი საუკეთესო, ქარვიანი ჩიბუხი მივართვი თუთუნის მოსაწევადო. კოჩამ ყველაფერი შეიფერა, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყოვო. მაგრამ ვაი იმ მებატონის ბრალი, ვინც ურჩობას გაუწევდა! კოჩა თავისი ბრბოებით ქორივით თავს დაუქროლებდა და შეუბრალებლად არბევდა იქაურობას. იკლებდა სახლ-კარს და მებატონე ღმერთს მადლობასა სწირავდა, თუ მოახერხებდა და ცოცხალი და უვნებელი დააღწევდა თავს.

საერთოდ კი კოჩაზე უნდა ითქვას, რომ ბოროტი კაცი არ იყო, მაგრამ არც თუ ძალიან ჭკვიანი, და ბრბოს გული მოგებული ჰქონდა უფრო თავისი წარმოსადეგობით, რიხიანობითა და ბრძანებლობის მოხერხებით.

სულ სხვა ჯურისა იყო **მართალი თოდუა**. **მართალი** – სახელი არ არის, მეტისახელია. და ეს მეტისახელი ხალხს ტყუილუბრალოდ არ დაურქმევია მისთვის: დაარქვა მის პირად ღირსებათათვის. სალხინოელი გლეხი იყო და ეკუთვნოდა თვით მთავარს. მართალი თოდუა ხის ჯამჭურჭლის მთლელი იყო. თავისი ხელობა და შრომა ძალიან უყვარდა, ღვთისმოყვარე იყო, უკვე ხანშიშესული (ისიც 50 წლისა იქნებოდა), ცოლშვილიანი. მისი სოფლის ხალხი ძალიან პატივსა სცემდა, და როცა სალიპარტიოს სოფელში ყმები აჯანყდნენ, ამათ თავის ბელადად ერთხმად ამოირჩიეს და დაავალეს – მთელი სიმართლე და მხოლოდ სიმართლე ჯერ დედოფლისთვის მოეხსენებინა და თუ აქედან არაფერი გამოვიდოდა – თვით რუსთ ხელმწიფემდე ევლო. – **“არ შეიძლება,** – გაიძახოდა ხალხი, – **რომ ბატონების თვითნებობა დაუსჯელად დატოვოს ხელმწიფემაო”**. მართალი თოდუამ უარი ვერ უთხრა თავის ერთხმად ამომრჩეველ სოფლელთ და თავის წინამძღოლობის განმავლობაში ცდილობდა მშვიდობიანის და გონივრულის სიტყვით ყმებისათვის თავი შეეკავებინებინა და რაიმე წრესგადასული არ ჩაედენინებინა. როცა მის მოსაჯვანად კაცი გავგზავნეთ, მაშინვე წამოვიდა და სრულს ჩვენს განკარგულებაში ჩაგვაბარა თავისი თავი. და, მართლაც, ეს ისეთი პატიოსანი და მართალი ადამიანი იყო, რომ ძალაუნებურად მისდამი ნდობით აღივსებოდით. ბრბოებთან არ დადიოდა, იჯდა თავის ქოხში, წინანდებურად სთლიდა ხის ჯამებს და ხალხში მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოჩნდებოდა.

მესამე ბელადი და ყველაზე საინტერესო იყო – მჭედელი **უტუ მიქავა**, სოფელ ჯვარიდან. მჭედელი ყველგან ხალხში უბრალო კაცად არ არის მიჩნეული. როგორც რუსეთის სოფლებში, ისე სამეგრელოშიაც მჭედელი უფროსერთ შემთხვევაში მკითხავიცაა, იცნობს სხვადასხვა სამკურნალო ბალახებს, იცის შელოცვები დაახლოვებულია... ავ სულებთან. მეგრულ სამჭედლოს გვერდით დუქანიცაა და შიგ კიდევ სულმუდამ ირევა უსაქმური ხალხი; აქ ეუბნებიან ერთმანეთს ახალ ამბებს, ერთი ჯგუფის ალაგას მეორე მოდის, განუწყვეტლივ ლაყბობენ, ყაყანებენ, ილანძღებიან, ერთიმეორეს თავის აზრს უზიარებენ, ზოგჯერ საქონელსა სცვლიან და ვაჭრობენ და ყოველ სადაო შემთხვევაში ეს ხალხი მიმართავს ხოლმე მჭედელს, რომელმაც უმეტეს შემთხვევაში, ლაპარაკი იცის თავდაჭერით, მაცდურათ, კილოკივით. გლეხთა მოძრაობის დასაწყისიდანვე უტუ მიქავას სამჭედლო შესაკრებელ ადგილად იქცა, ხოლო თვით პატრონი, ახალგაზრდა კაცი, ასე ოცდაათის წლისა, მიხვედრილი, ეშმაკი, როგორც უმეტესობა მეგრელთა, გლეხების წინამძღოლად იქცა ისე, რომ თვითონ ამისათვის არც-კი ცდილა, ძალად თავისთავი არავისთვის მოუხვევია. ბუნებით ფიცხი მალე თვითონ გაიტაცა მისმა როლმა და სულ მოკლე ხანში გლეხებს, როგორც უნდოდა, ისე ათამაშებდა. ბატონებს სწრაფად და ენერგიულად უსწორდებოდა; ქორივით დააცხრებოდა თავზე, წაართმევდა, რასაც კი მოახელთებდა, ამას ურიგებდა გლეხებს და ზოგჯერ ბატონებს ტყვედ დაიჭერდა იმ პირობით, რომ მისიანებს გამოესყიდნათ. განსაკუთრებით მისი სუსხი ადგებოდა თავადებსა და აზნაურებს, რომელნიც სხვებზე მეტად იყვნენ ცნობილნი თავისის გულქვაობით.

წერა-კითხვის მცოდნე იყო და ენაწყლიანი ლაპარაკი იცოდა, როგორც ეს დავინახეთ კოლუბიაკინთან მისი პირველად დალაპარაკების დროს; იგი გულიგულში მოძულე იყო ბატონ-ყმობისა და ყოველის ღონისძიებით მის შურს იძიებდა თავის ძმების საუკუნოვან შეწუხებისათვიუს.

ეს სამი მეთაური თავის ნებით დაგვნებდა და, როგორცა ვსთქვით, მოგვიხდა მათთან დაახლოვება: მათგან უნდა გაგვეგო მეტად საჭირო და ჩვენთვის აუცილებელი ცნობები აჯანყების, მსვლელობისა, რომელიც მთელის ექვსის თვის განმავლობაში დაუბრკოლებლივ მზადდებოდა. და ჩვენ მათთვის სრულებითაც არ დაგვიმალავს, თუ რამდენათ პასუხისმგებელნი იყვნენ აჯანყებაში მეთაურობისათვის; მაგრამ ამავე დროს გავაგებინეთ, რომ ამბოხების ჩაქრობის საქმეში მათს დახმარებას შეეძლო შეემსუბუქებინა სასჯელი, მათ რომ მოელოდა, და იმედი სავსებით გაგვიმართლეს.

* * *

სამეგრელოში ჩვენმა შესვლამ საბოლაოდ შეაჩერა აჯანყების განვითარება; მაგრამ მისი სავსებით ჩაქრობა, როგორც ძალზე გაძლიერებული ხანძრისა, ადვილი არ იყო და არც მალე შეიძლებოდა. გადაბუგვილი ადგილი ჯერ კიდევ დიდხანსა ჰყრჩოდა. რამდენისამე თვის განმავლობაში ოლქის უფროსები სულ ცხენებზე იყვნენ დაკრულნი, დადიოდნენ ოლქის ყველა მხარეს და ყველგან პირადად ასამართლებდნენ მომჩივანთ.

ბელადებთან საუბრებისაგან, დღიურ ორომტრიალს შემდეგ, საღამოობით, ძალზე გახურებულ ბუხართან, აგრეთვე რაც ჩვენ პირადად გავეცანით სინამდვილეს, ჩვენ უფრო და უფრო ვრწმუნდებით, რომ საქმე გვქონდა ისეთ სოციალურ მოვლენასთან, რომელიც დიდი ხანია – დავიწყებული იყო და რომელსაც სავსებით გადავყავდით საშუალო საუკუნეებში, ფეოდალიზმის გაფურჩქვნის ხანაში, გლეხთა იმ მოძრაობასთან, რომელსაც საფრანგეთში ჟაკერიები ეწოდა, საზოგადოდ სახელ **ჟაკ**-ისგან, რომელიც პირაღებით ყველა იქაურ გლეხს დაერქვა. სამეგრელოში ჩვენ დაგვხვდა ისეთი სახე მემემულეთაგან გლეხების დამოკიდებულებისა, რომლის დროს საადგილმამულო ურთიერთობას ყოველი არსებითი მნიშვნელობა დაეკარგა და ეს დამოკიდებულება გადაიქცა წმინდა პირად დამოკიდებულებად; ხოლო ადათი, რომელიც ოდესღაც ჩაუწერია ვახტანგ მეფეს (მის კრებულს ვახტანგ მეფის კანონები ჰქვიან), მკაფიოდ ამბობდა, რომ **“კაცი თავის თავად თავისუფალია და მისი დამოკიდებულება წარმოსდგება მხოლოდ მიწისაგანო”**. საადგილმამულო დამოკიდებულება კი, რომელიც განწესებულია იმავე ადათით, ჰყოფს ყველას, ვინც საბატონო მიწა-წყალზე სცხოვრობენ შემდეგნაირად. სულ მაღლა იდგა **აზატი**, ანუ, სხვაფრივ რომ ვსთქვათ, გათეორებული, რომელსაც, შედარებით, სულ მცირე გადასახადი ემართა. – ამათი რიცხვი მცირე იყო; მას ქვევით იდგა – **მსახური**, ამათ ემართათ განსაზღვრული რაოდენობა მიწის მოსავლისა, და, ამას გარდა ვალდებულნი იყვნენ მებატონესათვის მამრობითი სქესის მსახური მიეცათ; ამაზე ქვევით იყო **გლეხი**, რომელიც აძლევდა მოსამსახურე ქალსა და კაცს, მუშა ხელს საბატონო სამსახურისათვის და მოჰქონდა მიწის მოსავალი; და ბოლოს, ამ კიბის სულ ქვედა საფეხურზე იდგა **მოჯალაბე** – სამხედრო ტყვე, სრული და ყურმოჭრილი მონა.

მაგრამ მთელი ეს კლასიფიკაცია გლეხებისა, მათის საადგილმამულო დამოკიდებულების ხარისხის მიხედვით, ფიქტიურად გადაიქცა მას შემდეგ, რაც მებატონემ შეიძინა ის უფლება, რომლის ძალით, როცა მოეგუნებოდა, თავის ხელქვეითებს ეწვეოდა, მათს სახლებში სცხოვრობდა და მათს ხარჯზე სჭამდა და სვამდა მანამდე, სანამ მასპინძელს ყველაფერი არ გამოელევოდა. მებატონე წელიწადი თორმეტი თვე ასე დამთაბარობდა, სჭამდა თავისა და სხვათა ყმების სარჩო-საბადებელს და ამ ყმების პიროვნების სული და ხორცი მის ხელთ იყო. გლეხები სულმუდამ დრტვინავდნენ ამ ძალადობის წინააღმდეგ და ზოგჯერ იარაღსაც მიმართავდნენ და ისე გაუძალიანდებოდნენ, მაგრამ მაშინ ყოველ მებატონეს მისი მეზობლები მიეშველებოდნენ და ერთობლივად ენერგიულად ამშვიდებდნენ ხოლმე ურჩთა და გაუგონართ, ამის შემდეგ იწყებოდა მათი უწყალო წიოკობა და წინანდელზე უარესი დამონება.

რუსის მართვა-გამგეობის დროს გლეხების საერთო აჯანყებამდე, ან ფრანგების ჟაკერიამდე, როგორც ჩვენ დაგვხვდა აქაურობა, საქმე ერთხელაც არ მისულა. ამ ჟაკერიის გაჩენას ხელი შეუწყო თვით სამეგრელოს მთავრობამ, რომელიც მეტისმეტად ზედმიწევნილათ, სიტყვა-სიტყვით ასრულებდა დედოფლის მიერ დატოვებულ ინსტრუქციას მისი აქარყოფნის დროს. ხოლო ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი ჟაკერიები წინა დროებში სამეგრელოში ერთხელ და ორჯერ კი არ ყოფილა. ესენი ნორმალურ მოვლენად ითვლებოდა და შედეგად მოსდევდა საერთო ცვლილებები, რომელთა კვალი ეტყობოდა როგორც სამეფო დინასტიების, ისე დიდ გვაროვნობათა ამაღლება-ჩემოქვეითებას. დადიანების ძველი გვარები – ბედია, ჭილაძე, ლიპარიტიანი, შელია ახლა გლეხებშიაც გვხვდება, აგრეთვე გვხვდება გვარი დიდებულის საბათარისა, რომელთანაც ოდესღაც სტუმრად ყოფილა ფრანგი მოგზაური შარდენი. გლეხები საბათარაშვილები ბევრნი არიან, ხოლო თავადები და აზნაურები უკვე სულ არავინაა დარჩენილი. და ყველა ეს სწრაფი სოციალური ადგილგადანაცვლება ხდებოდა ადგილობრივი ვულკანიურ მოძრაობათა, ანუ, სხვანაირად რომ ვსთქვათ, ჟაკერიების წყალობით, რომელნიც გამოწვეულნი იყვნენ მაღალი წოდების მიერ გლეხების შევიწროებით.

ფაქტები უსულღმერთო ძალდატანების, რომლის მსხვერპლად ბატონები ხდიდნენ გლეხებს, ახლაც საძებარი არა გვქონდა, ესენი ყოველ ფეხის გადადგმაზე გვხვდებოდა. აი, თუნდაც მოვუსმინოთ იმ ქალს, რომელიც გამოიპარა მებატონის სასახლიდან და ქურდულათ მიაღწია ოლქის უფროსთან. მარტო გარეგნობაც კი გამოგვიხატავს მის უკიდურეს გაჭირვებასა და უპოვარებას: ტანს უფარავს ძონძები, მისი ტიპი სრულებით არა ჰგავს მეგრელ ქალისას, რომელიც მთელს აღმოსავლეთშია განთქმული თავისი სილამაზით; ჩვენს წინა დგას სულ სხვა, დაჩიავებული, დატანჯული, დაკნინებული რასა. აი, რა უჭირს ქალს: **“მე – მოჯალაბე გახლავართ,** – მეუბნება ქალი, – **ამა და ამ თავადისა, მისგან ორი შვილი გამიჩნდა: ბიჭი და გოგო. მერე აიღო და მავან მებატონეს მიმყიდა. ახალ ბატონის ხელში სამი შვილი გამიჩნდა და ახლა უნდა ეს შვილები გამიყიდოს. ჯერ უფროს შვილისგან იწყებს. რომ გაიგო, მე ჩივილს ვაპირებდი, დამემუქრა, შენ თვითონ აფხაზეთში გაგყიდიო; გამოვიქეცი, თორემ მუქარას აასრულებდაო”.**

შეიძლებოდა, ამაზე შორს წასულიყო ადამიანის სხეულით ვაჭრობა!?

ახლა, სხვა მაგალითი, თუ გნებავთ.

დგას ორი მთხოვნელი, მამაკაცი და დედაკაცი; სამ წლის წინათ თავი შეასყიდეს ბატონს ათ თუმნად, ხოლო ამ ფულის საშოვნელად თავიანთი ქალი, შვიდის წლის გოგო, მეორე მებატონეს დაუგირავეს. გოგოს გამოხსნის ვადა დადგა, მოუტანეს ფული. მაგრამ მსესხებელმა გადაჭრით უარი უთხრა გოგოს დაბრუნებაზე: ქაღალდში, რომლის ძალით ეპატრონება გოგოს, ნათქვამია – ნაყიდიაო. მართლაც, წერის უცოდინარობის გამო ამ უბედურთათვის ჯვარის სახე გამოუყვანიებიათ ქაღალდზე, ესენი თავიანთს ხელისმოწერაზე უარს არ ამბობენ და უნდა გამოეთხოვონ თავიანთს ერთადერთ ბავშვს...

ამ საჩივრის მოსმენა არც კი დამთავრებულიყო, ისე შემოვიდა გამხდარი, შეშინებული კაცი; არეულად ლაპარაკობს, გარშემო იხედება და ეშინიან – ყურს არავინ მიგდებდეს, რომ ბატონებზე საჩივლელად მოვსულვარო. აბა, ყური დაუგდეთ მის თავგადასავალს. შვიდ ბატონს ეკუთვნის, შვიდნივე ერთიმეორეს მახლობელი ნათესავები არიან, აზნაური შავდიები, და შვიდ სახლში მსახურობს, თითო დღეს თითო სახლში და ერთ სახლიდან მეორეში გადადის. კვირაში შვიდი დღის განმავლობაში მუშაობს, შეუსვენებლივ, მისთვის უქმე არ არის, ყველგან სცემენ და ტყეპენ და ნახევრად მშიერს ამყოფებენ. თხოულობს – ისე მწარედ არა სცემონ ხოლმე, – ორ მის ბატონს საშინლად ჰყვარებია ცემა, – და საჭმელიც ცოტა მეტი აჭამონ; თავის გამოხსნის თხოვნა აზრადაც არ მოსდის...

ხელში მხოლოდ ეს სამი ფაქტი მომხვდა... ასეთი ფაქტები იმდენია, რომ ჩამოთვლაც კი შეუძლებელია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელო

რა იცი შენი კუთხის შესახებ?

ქალაქი ზუგდიდი XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო და სახელოსნო ცენტრად იყო აღიარებული. აქ ყოველ პარასკევობით იმართებოდა დიდი ბაზრობა, სადაც თავს იყრიდა ათასობით ზუგდიდელი და მეზობელი მაზრებიდან ჩამოსული ვაჭარი და მყიდველი. მაგრამ, ქალაქში ყოველდღიურ სისტემატურ ვაჭრობასაც აწარმოებდნენ. 1888 წელს, მაგალითად, ზუგდიდში 80 სავაჭრო დაწესებულება არსებობდა. სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ (1867 წ.), ზუგდიდი სამაზრო ქალაქი გახდა. ამ სტატუსის ქალაქს წარმოადგენდა ის საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხანაშიც და რუსების მიერ ჩვენი ქვეყნის ხელახალი ოკუპაციის შემდეგაც, რაც 1921 წლის 9 მარტს მოხდა. 1924 წელს ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ მომხდარი ქართველი ერის აჯანყების ერთერთ უდიდეს კერას სწორედ ზუგდიდი წარმოადგენდა. ბოლშევიკებმა, რუსეთის წითელი არმიის ნაწილების დახმარებით სისხლში ჩაახშეს ქართული ეროვნული ნების ეს გამოხატულება. მათ ამბოხის მონაწილე 100-ზე მეტი ზუგდიდელი დახვრიტეს. 1937-1938 წლების სისხლიან რეპრესიებს კი ათასობით სრულიად უდანაშაულო ზუგდიდელი ემსხვერპლა.

ნებისმიერი ქვეყანა ან მისი კუთხე, რომელსაც ჰყავდა თუნდაც ისეთი ლიტერატურული გმირები, როგორებიც არიან დათა თუთაშხია და მაცი ხვიტია, ყოველმხრივ უზრუნველყოფს საკუთარ შვილებს გმირული სულისკვეთებით და ვაჟკაცური, ამაღლებული ზნეობით. ზღაპრიდან რეალობა არ იქმნება, პირიქით – ღამაზი რეალობა ქმნის ზღაპრული თვისებების მქონე გამოგონილ პიროვნებებს. წარმოშობით ქართველი იოსებ სტალინი, ერთ-ერთი ცნობილი მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც თავადაც სიცოცხლეშივე იყო აღიარებული ლეგენდარულ პიროვნებად და ღამის ხორცშესხმულ ღმერთად, თვლიდა, რომ **“ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას”**. ამრიგად, ჯერ იყო დათა თუთაშხიასნაირი რეალური პიროვნება, რომლის ბუნებისა და ხასიათის განზოგადოებით შეიქმნა მეოცე საუკუნის უდიდესი მსოფლიო ლიტერატურული ძეგლი **“დათა თუთაშხია”**. თვალუწვდენ სიმაღლეზე აჰყავს ეს გმირი ინგლისელთა ცნობილ შედარებას – **“დათა თუთაშხია გახლავთ როჯერ ბეკონის ნიჭით დაჯილდოებული რობინ ჰუდი”**. ასე რომ, მიუხედავად ბოლო პერიოდში საქართველოში მიმდინარე სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა გადაფასებისა, მიუხედავად ჩვენს საზოგადოებაში მუშნი ზარანდიასნაირი უარყოფითი თვისებების მქონე ადამიანების არაბუნებრივი მოძალებისა, სამეგრელო და მთლიანად საქართველო ძირითადად მაინც რჩება მაცი ხვიტიებისა და დათა თუთაშხიების სამშობლოდ. მსოფლიოში ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ოთხი ლიტერატურული გმირი, რომელთა მარტივ საბავშვო სათამაშოებს. მაგრამ, ამგვარი გაცვლის გარეშეც ბავშვები ხშირად ვიპარავდით სახლებიდან პურს და საიდუმლოდ ვაძლევდით მათ, რადგან თუ ჩვენს ამგვარ გულმოწყალებას შინსახკომის ოფიციალური ორგანოები შენიშნავდნენ, ეს შეიძლება ძალიან ძვირად დაგჯდომოდა როგორც ჩვენ, ასევე ჩვენს მშობლებს. მეორე მსოფლიო ომისშემდგომ საბჭოთა ტყვეობაში გარდაცვლილი გერმანელები ჩვენ სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია წმინდანებად, რადგან მათ, კატორღული შრომით დაქანცულებმა, შიმშილით, ავადმყოფობითა და ტანჯვა-წამებით მიაბარეს სული უფალს. ამიტომ, სასურველია, რომ გერმანელ ტყვეთა თავიდანვე უპატრონოდ მიტოვებულ საქართველოში უხვად გაბნეულ სხვა საფლავებთანაც, სადაც დღეს დასაფლავებულთა ვინაობის დადგენა და იდენტიფიცირება პრაქტიკულად შეუძლებელია, იმ დროის ხელისუფალთა მხრივ ტყვეებისადმი ვანდალური და არაადამიანური დამოკიდებულების გამო, გაკეთდეს მემორიალები, სადაც შესაძლებელი იქნება მათი სულების მოსახსენიებელი პარაკლისის გადახდა ან თუნდაც სანთლის დანთება. ამ მხრივ ხომ საქართველოში გერმანელ კოლონისტთა სასაფლაოების მეტი წილი, ავად თუ კარგად, მოწესრიგებულია, რასაც ვერ ვიტყვით მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გერმანელთა სამარხებზე.

სწორედ ამგვარი დაღუპულთა სულების მოსახსენებელი და მათი სახელების სადიდებელი მემორიალი გერმანელ სამხედრო ტყვეთა საძმო სასაფლაოს სახით მოაწყო სამეგრელოში, ყველა ქართველისათვის სათაყვანებელ ისტორიულ რუხის ციხესთან ამ რამდენიმე წლის წინათ ცნობილმა ქართველმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ ქალბატონმა ლუიზა ციმიტიამ. მას ამ ჭეშმარიტად სასიკეთო და მამულიშვილურ საქმეში დიდი ფინანსური და მატერიალური დახმარება გაუწიეს უაღრესად პატივსაცემმა პიროვნებებმა – საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, 1579 წელს საფრანგეთის მეფე ჰენრიხ მეოთხის მიერ დაწესებული ევროპის საპატიო მხედრული ორდენის, წმინდა ორდენის ლურჯ ბაფთაზე და ხალხთა გამაერთიანებელი ჰუმანიტარული ორდენის კავალერმა ბატონმა ოთარ ფაცაციამ, ქალაქ ზუგდიდის გამგებელმა ბატონმა ალექსანდრე ქობალიამ, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ყოფილმა გუბერნატორმა, ბატონმა ბონდო ჯიქიამ და ცნობილმა ქართველმა ენერგეტიკოსმა ბატონმა იური გუგუჩიამ, რისთვისაც მათ დიდ მადლობას უძღვნიან როგორც საქართველოს, ასევე გერმანიის მოქალაქეები. ამას წინათ, ქალბატონ ლუიზა ციმიტიას თაოსნობითვე ქალაქ ზუგდიდის ცენტრში გაიხსნა საგამოფენო სამხატვრო ფოტოგალერეა, რომელშიც უხვადაა ექსპონირებული საქართველო-გერმანიის საქმიანი და კულტურული ურთიერთობების ამსახველი უამრავი საინტერესო და უნიკალური ფოტომასალა.

ეს, რაც შეეხება წარსულს!

დღეს კი მართლაც ძალიან საინტერესო პიროვნება მოღვაწეობს ქალაქ ზუგდიდში. იგი გახლავთ გერმანიის გაზეთ **“ბონერ როდშაუ”**-ს სპეციალური კორესპონდენტი, გამოცდილი ჟურნალისტი ბერტლამ კონრადი, რომელიც ზუგდიდში იმყოფება სპეციალური მოწვევით და საინტერესო ლექციებს ატარებს გერმანულ ენაში.

– ძალიან მომწონს საქართველო, – ამბობს ბატონი ბერტლამი,– აქ ყველაფერი მიმზიდველი და ბუნებრივია: სილამაზე, გარემო, ადამიანური ურთიერთობები. მე უამრავ ქვეყანაში მიმოგზაურია, მაგრამ არსად არ შემხვედრია თქვენნაირი გულთბილი, სტუმართმოყვარე და საინტერესო ხალხი. გერმანიაში იცით როგორ არის ყველაფერი მოწყობილი? ყოველი საათი, თითქმის ყოველი წუთი გამოანგარიშებულია, ყველას აქვს წინასწარ შემუშავებული საკუთარი დღის განრიგი, ყოველივე ამის შემდეგ იწყებს ცხოვრებას და ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვევს ამ დღის განრიგიდან. თქვენ ჯერ ცხოვრობთ და მერე ითვლით წუთებს. ეს, მართალია, ზოგჯერ ქაოსს იწვევს, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს უფრო საინტერესოა, ვიდრე წინასწარ გამოჭრილი თარგით ცხოვრება. იქ არ არის სიახლეები და მოულოდნელობები, იქ ყველაფერი რამდენიმე დღით ადრე არის გათვლილი. თქვენ კი სიახლეების მოყვარული ხალხი ხართ, იმპულსური და უშუალოები. ქართველი მეგობარი არასოდეს გეტყვის, ახლა შენთვის არ მცალია, ბევრი საქმე მაქვსო. იგი ჯერ შენთვის მოიცლის, საკუთარ საქმეს კი გადასდებს და შემდეგ გააკეთებს. გერმანელებისათვის ეს წარმოუდგენელია, ამიტომაც, აქ ადამიანები ერთმანეთისაგან თითქოს უფრო გაუცხოებულები არიან. ამიტომაც, საქართველოში ადამიანებს შორის უფრო ახლო და თბილი ურთიერთობებია, რაც ძალიან მომწონს.

დღეს ზუგდიდში მოქმედებს სამხარეო ტელევიზია, გამოდის რამდენიმე გაზეთი და ჟურნალი, რომელთა შორის აშკარად აქვთ დამკვიდრებული ლიდერის პოზიცია ჟურნალს **“ეგრისი”** და გაზეთს **“ეგრისის მაცნე”**, რომელსაც გამოცდილი ჟურნალისტი ქალბატონი ნათია ჯგუშია უდგას სათავეში. გაზეთს, მისთვის მძიმე ჟამს, განუყრელად ედგნენ გვერდში კოლხურ სიძველეთა მინდიად ცნობილი კალისტრატე სამუშია, კოლხური კულტურის მეციხოვნე გივი ელიავა, სვანეთის მახვში ვალერიან საღლიანი და სხვები. მის კედლებში მრავალი სახელოვანი ჟურნალისტი აღიზარდა.

საკმაოდ მდიდარია სამეგრელოს რეგიონი საგანმანათლებლო დაწესებულებებით: დაწყებითი, საშუალო, სპეციალიზებული და უნივერსიტეტის დონის სასწავლო საგანმანათლებლო დაწესებულებებით. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ სასწავლო დაწესებულებებში შეხიზნული არიან აფხაზეთიდან დევნილები, როგორც ზუგდიდში, ასევე მთლიანად რეგიონში სასწავლო პროცესები არასოდეს შეფერხებულა.

რაიონში ამჟამად ფუნქციონირებს 62 სკოლა, რომელთა შორის ყველაზე ხანდაზმულია ზუგდიდის №1 საშუალო სკოლა. იგი 1867 წელს გაიხსნა და მისი ფუძემდებელი და პირველი დირექტორი გახლდათ ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ანტონ ფურცელაძე. ამ სკოლის კედლებში აღიზარდნენ სახელოვანი მეცნიერები ილია ვეკუა და ნიკოლოზ ანთელავა, შესანიშნავი მსახიობი პიერ კობახიძე, მწერალი ლეო ქიაჩელი, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ქედუხრელი მებრძოლი სპირიდონ კეიდია. მეორე მსოფლიო ომს გმირულად შეეწირენ მისი დირექტორები ალიოშა ხუნჯუა, ლუკი კიკიანი, ეფრემ კვირტია, იოსებ ქირია.. დღეს სკოლას ხელმძღვანელობს ქალბატონი მედეა ქარდავა... მსოფლიოს ნებისმიერ სასწავლებელს დაამშვენებენ აქაური პედაგოგები როგორც თავიანთი განათლებით, ისე შესაშური პედაგოგიური ალღოთი და სამწუხაროა, რომ ადგილის სიმწირის გამო ვერ ვახერხებთ ყოველი მათგანის წარდგენას მკითხველის წინაშე.

ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვეყნის განათლების სფეროში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალს, რომელიც დაფუძნდა 1996 წელს. ამჟამად ფილიალის 4 ფაკულტეტზე სწავლობს 1410 სტუდენტი. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ფილიალის თანამშრომლების მიერ დაცულია ხუთი სადოქტორო და 40 საკანდიდატო დისერტაცია. ფილიალში ფუნქციონირებს ქიმიის, ფიზიკის, კრიმინალისტიკის და უცხო ენების კაბინეტ-ლაბორატორიები. ბიბლიოთეკა შეივსო 13.000 სხვადასხვა სახის სამეცნიერო ლიტერატურით. ფილიალს ასევე გააჩნია ხუთი კომპიუტერული სასწავლო ლაბორატორია. სისტემატიურად ტარდება სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციები. 1999 წელს ფილიალი მასპინძლობდა ნობელის პრემიის ლაურეატს, შვეიცარიელ მეცნიერს ალექს მიულერს, რომელმაც წაიკითხა ლექცია თემაზე „კაცობრიობა, ენერგეტიკული და ეკოლოგიური პრობლემები“. მალე მოხდება ფილიალის ტრანსფორმაცია სახელმწიფო ინსტიტუტად, რისთვისაც განათლების სამინისტროში მზადდება შესაბამისი საკითხი.

ასევე მნიშვნელოვანი დგილი უჭირავს საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში ზუგდიდის დამოუკიდებელ უნივერსიტეტს, რომელიც 1991 წელს დაარსდა. სწორედ აქ შეიქმნა, საქართველოში პირველად, ადამიანის სოციალურ პრობლემათა კვლევის ლაბორატორია, რომელიც ამჟამად სამეცნიერო ცენტრის სახით მოქმედებს. უნივერსიტეტის კედლებში და მისი მხარდაჭერით სამოცამდე ადამიანმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ექვს მეცნიერს კი დოქტორის ხარისხი მიენიჭა. ხშირად ტარდება ავტორიტეტული სამეცნიერო კონფერენცია, რაც დადებით როლს თამაშობს ქვეყნის საგანმანათლებლო-მეცნიერული პროცესების სრულყოფის საქმეში. დიდ დახმარებას უწევს უნივერსიტეტს პრინცალენ მიურატის მეუღლე, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, პრინცესა ვერონიკა დე შაბო. აქ ლექციების ციკლი წაიკითხეს ფრანგმა პროფესორებმა დანიელ და ფრანცის მარკუენებმა.

დავით ჩხიკვაძე

ქართული ფეხბურთის მეგრული ფესვები...

ზუგდიდსა და მთლიანად სამეგრელოს რეგიონს უაღრესად მდიდარი და საინტერესო სპორტული ტრადიციები გააჩნია. აქ ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში იმართებოდა მასობრივი შეჯიბრებები ისინდში, დოღში, მშვილდ-ისრით სროლაში, ხოლო, როცა საქართველოში შემოვიდა თოფი, იმართებოდა შეჯიბრებები ტყვიით სროლაში. ბადალი არ ჰყავდათ მეგრელ ლელობურთელებს, სადაც მთელი სოფლები ერთვებოდა ხოლმე და გამარჯვებულებს სპეციალური პრიზები ურიგდებოდათ შინაური ცხოველებისა და სანადირო თუ საბრძოლო იარაღის სახით. სწორედ ეს შეჯიბრებები აყალიბებდა მხარის მოსახლეობაში დიდ სპორტულ ჟინს, რამაც საქართველოს ამ ულამაზეს მხარეს უამრავი სახელგანთქმული სპორტსმენი მოუვლინა.

აბა, ვინ შეიძლება შეედაროს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს ჭადრაკში, დიდებულ ქალბატონს ნონა გაფრინდაშვილს, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდა მსოფლიო ჭადრაკის ოლიმპზე.

სამეგრელომ უძღვნა მსოფლიოს ფეხბურთის სამყაროს ისეთი დიდოსტატები, როგორებიც იყვნენ მურთაზ ხურცილავა და ვლადიმერ ბარქაია. წარმოშობით ზუგდიდელები იყვნენ დიდებული ფეხბურთელები ბორის სიჭინავა, გიორგი ხოჭოლავა, მეკარე კიტია და სხვები.

ქართული ფეხბურთი ასაკით ოდნავ ჩამოუვარდება ინგლისურ, ესე იგი მსოფლიო ფეხბურთს – ინგლისელ მეზღვაურებს მეოცე საუკუნის დასაწყისში თავადაც არ ჰქონდათ ბოლომდე გააზრებული ამ ახალი თამაშის წესები, როცა ფოთში ქართველებს ეთამაშებოდნენ ფეხბურთს. ამის შემდეგ ფეხბურთი საქართველოში პროფესიულ სპორტად იქცა და ჩამოყალიბდა მცნება **"ქართული ფეხბურთი"**. 1921 წლიდან ქართული ფეხბურთი იქცა საბჭოთა ფეხბურთის, უფრო სწორად, რუსული ფეხბურთის განუყოფელ ნაწილად, მის მთავარ მამოძრავებელ ძალად და სათამაშო ტექნიკის შემოქმედ დიზაინერად. მეოცე საუკუნის 60-იან წლებამდე რომ არ ყოფილიყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რუტინული დოქტრინა იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში მხოლოდ მოსკოვის ხუთი გუნდიდან ერთ-ერთი უნდა გამხდარიყო, ქართული ფეხბურთი ამ სპორტის გარიჟრაჟზევე გახდებოდა უამრავი ჯილდოს მფლობელი. მაგრამ, თბილისის დინამოელებმა დრო იხელთეს და საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ 1964 წლის დიდი პოლიტიკური არეულობის ჟამს, როცა თანამდებობიდან მოხსნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ნიკიტა ხრუშჩოვი, მისი **"მემკვიდრე"** ლეონიდ ბრეჟნევი კი ჯერ კიდევ ვერ იყო სრულად გარკვეული საბჭოთა სპორტულ-პოლიტიკურ იდეოლოგიურ კონიუნქტურაში.

საბჭოთა ფეხბურთის ფონზე, მათი ჯობნისა და პირველობის სურვილით მუდამ გამსჭვალული ქართველი ფეხბურთელები ზოგჯერ არნახულ სპორტულ სიმაღლეებს იპყრობდნენ ხოლმე.

საერთაშორისო მასშტაბის მქონე ერთერთი ასეთი დიდი გამარჯვება თბილისის დინამომ, *მისი სახელოვანი მწვრთნელის, სულგანათლებული ნოდარ ახალკაცის (უფროსის) ხელმძღვანელობით,* თავისი სიძლიერის პიკზე, 1981 წლის 13 მაისს მოიპოვა გერმანიის ქალაქ დიუსელდორფის **"რეინშტადიონზე"**, როცა ევროპის თასების მფლობელთა თასის ტურნირის ფინალში ძალზე მძიმე ბრძოლის შემდეგ დაამარცხა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ იენას ცნობილი საფეხბურთო კლუბი **"კარლ ცეისი"**. უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკათა გუნდებიდან, მისი ფეხბურთის არსებობის მანძილზე ამგვარი მაღალი ჯილდოს მოპოვება მხოლოდ კიევის **"დინამოელებმა"** შესძლეს, რომლებიც ასევე დიდად გამოირჩეოდნენ თამაშის კლასით სხვა საბჭოთა გუნდებს შორის.

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვერც იმ ფაქტს გავექცევით ვერსად, რომ დროთა განმავლობაში ქართული ფეხბურთი საბჭოთა, უფრო მართებულად რომ ვთქვათ, რუსული ფეხბურთის განუყოფელ ნაწილად იქცა. ამიტომ, როცა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის ჟამს – 1989 წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მსოფლიო ფეხბურთის გრანდის ნოდარ ახალკაცის თაკაცობით ყველას დაასწრო, დამოუკიდებლობა გამოაცხადა და საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციას გამოეყო, ყველამ კარგად ვიცოდით, რომ ეს ფაქტი დასაწყისში უარყოფითად აისახებოდა ქართული ფეხბურთის ხარისხზე, მაგრამ ქართველებმა ისიც შესანიშნავად ვიცოდით, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად კიდევ უამრავი რამის დათმობა მოგვიწევდა. ამიტომ, მაშინ მთელმა საქართველომ ერთხმად დაუჭირა მხარი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის ამ ისტორიულ გადაწყვეტილებას. მართლაც, ფეხბურთელთა დამოუკიდებლობის უპრეცედენტო გადაწყვეტილებამ მოგვიტანა როგორც დადებითი, ასევე უამრავი უარყოფითი შედეგი. უპირველესი გახლავთ ის, რომ ქართულმა ფეხბურთმა დაჰკარგა მთავარი სპორტული ბერკეტი – საბჭოთა კავშირის, ძირითადად კი რუსეთის გუნდებთან მოპოვებული გამარჯვების ჟინით საკუთარი პოლიტიკური ამბიციის დაკმაყოფილების საშუალება. მეორეც, საბჭოთა ფეხბურთის არენა ჩვენთვის გახლდათ ვეებერთელა საწვრთნელი სპორტული მოედანი, სადაც სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ფეხბურთის კვალდაკვალ სისტემატურად იხვეწებოდა ქართული ფეხბურთის ტექნიკური ნიუანსები, მისი სტრატეგია და ტაქტიკა, იზრდებოდა ნიჭიერ ფეხბურთელთა მთელი თაობები. და როცა, ერთ მშვენიერ დღეს, ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში დაინგრა, ამ ნანგრევებში უპირველესად მოჰყვა სწორედ ქართული ფეხბურთი. მოხდა რეალური ცხოვრებისადმი სრულიად შეუთავსებადი რამ – დიდმა სიკეთემ პატარა სიბოროტეც მოგვიტანა. ქართულმა ფეხბურთმა სწრაფად დაჰკარგა ჩვეული სპორტული ფორმა და სანახაობრივი ხიბლი, რასაც მაყურებლის დაკარგვა მოჰყვა; ერთ დროს გადავსებულ მრავალათასიან სტადიონებზე ახლა მხოლოდ რამდენიმე ათეული გულშემატკივარი თუ მივიდოდა ფეხბურთის მატჩებზე დასასწრებად. მაგრამ, საქართველოში კვლავაც იზრდებოდნენ მაღალი კლასის ფეხბურთელები, რომლებიც ღირსეულ ადგილს იმკვიდრებდნენ ევროპის წამყვან გუნდებში. *მაგრამ, სამწუხაროდ, მთლიანად ქართული ფეხბურთი საქართველოში, განსაკუთრებით ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ჟამს გამეფებული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისისა და ფედერაციის მაშინდელი ხელმძღვანელების მიერ ხელმოწერილი ბინძური გარიგებების გამო იმდენად ჩავარდა, რომ მყარად დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიოს ყველაზე ჩამორჩენილ გუნდებს შორის.* ქართულ ფეხბურთში შეიქმნა სრულიად ახალი ფსიქოლოგიური წინააღმდეგობა – ფეხბურთელთა კომერციული ინტერესი, უფრო სწორად, თავგამოდებული თამაშისას მიღებული ტრავმის გამო კონტრაქტის დაკარგვის და შემოსავლის გარეშე დარჩენის შიში, რომელიც საკმაოდ ძნელი გადასალახავი გახდა და დღესაც ანგარიშგასაწევი წინააღმდეგობრივი ფაქტორია. თუმცა, არსებობს ამ დაავადებასთან ბრძოლის ეფექტური მეთოდი – ფეხბურთელებს შორის იმგვარი პატრიოტული სულისკვეთების აღორძინება, რამაც, თავის დროზე, ქართული ფეხბურთი მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავე სპორტად აქცია და ვარსკვლავად გააბრწყინა საბჭოთა ფეხბურთის ცისკიდურზე. სწორედ ამ და სხვა სპორტულ ასპექტებზე აკეთებდა აქცენტს ქართული ფეხბურთის მხსნელად მოვლენილი, ცნობილი გერმანელი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი, რომელიც ქართველ გულშემატკივრებს იმის დიდ იმედებს გვინერგავდა, რომ ქართული ფეხბურთი სულ მალე აღორძინდებოდა და ძველ დიდებას დაიბრუნებდა. სამწუხაროდ, ტოპმიოლერთან ურთიერთობაშიც იჩინა თავი ქართულმა **"მადლიერებამ"** და იგი ქართულ ფეხბურთს ისევ ქართველებმა ჩამოვაშორეთ და ამ დამსახურებულ ადამიანს მრავალი კრიტიკული სიტყვაც გავადევნეთ.

– ჯერ კიდევ უამრავი პრობლემები გვაქვს გადასალახი,– ამბობდა მაშინ ბატონი კლაუსი, – რამდენადაც იოლია ქართველ ფეხბურთელებთან მუშაობა მათი მაღალი შინაგანი კულტურისა და დამყოლი ხასიათის გამო, იმდენად გვიჭირს ურთიერთობის მოგვარება ფეხბურთის რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და სხვა ჩინოვნიკებთან, რომლებიც, ზოგჯერ, გარკვეული სუბიექტური, ჩვენთვის სრულიად გაუგებარი მოსაზრებების გამო, არ იზიარებენ ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებებს და ამით სერიოზულ წინაღობებს უქმნიან ქართული ფეხბურთის შემდგომი წინსვლის საქმეს. აქ კი, ჩვენ, უდავოდ გვჭირდება ქართული მასმედიისა და საზოგადოების მხარდაჭერა...

მაგრამ, არ დააცალეს, და ისე გაისტუმრეს ქვეყნიდან, რომ მადლობაც კი არ გადაუხდიათ გაწეული შრომისათვის.

პრობლემა კი დღეს ბევრად უფრო გამწვავებულია, ვიდრე რამდენიმე წლის წინ იყო, რაც თვალნათლივ არის ასახული ჩვენი ფეხბურთის შედეგებში.

ასევე უმადურობა გამოავლინეს ზუგდიდში სამუშაოდ ჩასული გერმანელი მწვრთნელის ჰერბერტ ცანკერის მიმართ, რომელმაც მოკლე ხანში გადააქცია ლიდერად ბავშვთა საფეხბურთო გუნდი **"მგლები"**.

წავიდა ჰერბერტი და, სამწუხაროდ, მასვე გაჰყვა გუნდის წარმატებები...

ქართული (და მისი მთავარი ბაზა – მეგრული) ფეხბურთი კვლავ სულს ღაფავს, შველა კი არსაიდან ჩანს...

ნუთუ საბჭოთა კავშირი უნდა აღდგეს საიმისოდ, რომ ჩვენი ფეხბურთი აღორძინდეს?

რ. შალამბერიძე



ანდრი ალანია

ცნობილი ლოტბარი კიწი გეგეჭკორი იგონებდა : **"...ძუკუ (ლოლუა) თავისი ულამაზესი საცოლეთი ეტლით ჩამოვიდა ხობში ჩემთან, მაშინვე დავფაცურდი, დავუძახე ჩემს ამხანაგ-მომღერლებს ახალი სენაკიდან, რემა შელეგიას და პორფილე გაბელიას, ხობიდან – ძმებს ალანიებს და ცხენშებმული ეტლებით წავედით სოფელ ქვალონში. ძუკუ ლოლუას ჯვარი დავწერეთ ეკლესიაში, შემდეგ წავედით ახალსენაკში და გუსარი დგებიას რესტორანში გადავუხადეთ დიდებული ქორწილი... თქვენთვის ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მრავალხმიანი სიმღერები, სიტყვები და საერთო სიამოვნება იქნებოდა ამ მართლაც დიდებულ ღონისძიებაზე, სადაც სამეგრელოს რჩეულ მომღერლებს ჰქონდათ თავი მოყრილი. ლხინი დილამდე გაგრძელდა".**

როგორც ხედავთ, სამეგრელოს რჩეულ მომღერალთა რიცხვში, რომელთაც წილად ხვდათ პატივი სახელგანთქმული ლოტბარის – ძუკუ ლოლუას ქორწილში მიწვევისა და სიმღერისა, კიწი გეგეჭკორი ხობელ ძმებს – ალანიებსაც ასახელებს. ესენი იყვნენ ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებლები, შესანიშნავი მომღერლები – ანდრი და ერმილე ალანიები.

ანდრი ალანია დაიბადა 1879 წელს ხობის რაიონის სოფელ გურიფულში. როგორც მისი თანამედროვეები იხსენებდნენ, ბავშვობაში ანდრი მხიარული და მეტად ცელქი ყოფილა. ჯერ კიდევ მცირეწლოვნობისას, ვიდრე ლაპარაკს დაიწყებდა, უკვე მღეროდა თურმე. მისი მშობლები – თედორე და მართა გამრჯე და მშრომელი ადამიანები იყვნენ და შრომის წყალობით საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდნენ. გლეხური მეურნეობის უნარიანად გაძღოლასთან ერთად, თევდორეს სადურგლო საქმეც ხელეწიფებოდა – აგებდა მეგრულ ოდა-სახლებს, ფაცხას, ოსტატურად და გემოვნებით თლიდა ხისაგან დგამ-ავეჯს, იყო კარგი მეურნე, ჰყავდა თხები, ძროხები, ხარ-კამეჩი, ყანასა თუ ბოსტანში ან ნადში მუშაობის ჟამს ოჯახთან, შვილებთან, მეზობლებთან და სანათესაოსთან ერთად დააგუგუნებდნენ კარგ სიმღერას. ამის შემხედვარე ბავშვები შრომასთან ერთად სიმღერებსაც ითვისებდნენ უშუალო და ბუნებრივ პირობებში. სიმღერის სიყვარული უპირველესად მშობლებისაგან გამოჰყვათ ანდრისა და ერმილეს.

ქრისტეშობის დღესასწაულისას პატარა ანდრი მალანია სიხარულით დადიოდა ალილოზე სოფელში და როცა დასძახებდა: **"ეჩდოხუთი თე თუთასი"** და **"სადავოი კირიალესას"**, სოფელში მის ლამაზ ხმას ცნობდნენ და მეზობელ-ნათესავები საგანგებოდ ასაჩუქრებდნენ კიდეც.

1886 წელს ანდრი სასწავლებლად მიაბარეს ხობში მდებარე გურიფულის გიმნაზიაში (რომელიც, საბედნიეროდ, 1991 წელს აღორძინდა – რედ.), სადაც იმ დროს სახელოვანი პედაგოგები მუშაობდნენ. მათ შორის იყო მირკური წურწუმია. მან თავიდანვე შენიშნა ანდრი ალანიას ნიჭიერება, რომელსაც, მიუხედავად წარმატებულად სწავლისა, გული მაინც სიმღერისაკენ მიუწევდა.

1890 წელს ანდრი ალანიამ წარმატებით დაამთავრა გურიფულის გიმნაზია. ეს ნიჭიერი ახალგაზრდა ცნობილმა ქართველმა ლოტბარმა ძუკუ ლოლუამ შეამჩნია და სოხუმის მომღერალთა გუნდში ჩარიცხა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ანდრი ალანია ხობის გუნდში მღეროდა და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

ანდრი ალანიას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა ახალი სიმღერების შესწავლისა და შესრულების ჟინი. უკვე მეტად მოხუცებული შემოქმედი სიკვდილსაც სიმღერით შეხვდა, თურმე. მისი უკანასკნელი სიტყვები ყოფილა:

"რინაშ ნება ქორდასინი, ნანა
ქიანა მუში მაფართა რე, ნა".

ასე სიმღერით განერიდა ამ ცოდვილ წუთისოფელს 1966 წელს 87 წლის ნაშრომნაღვაწი ლოტბარი.

ასევე შთამბეჭდავი კვალი დასტოვეს ქართული ხალხური შემოქმედების სფეროში ანდრის ძმებმა – ალექსანდრე, ვლადიმერ და ერმილე ალანიებმა და ალექსანდრეს შვილმა ირადი ალანიამ.

ლელა ურუშაძე

სტენლი მეტიუზი

სტენლი მეტიუზი იყო ყველა დროის უდიდესი ფეხბურთელი ახალი საფეხბურთო ერის დასაწყისში. ინგლისურ ფეხბურთში მის ფონზე გამოჩნდა არა ერთი ვარსკვლავი, კერძოდ, ბილ რაიტი, ბობი ჩარლტონი, ბობი მური და სხვანი. თუმცა, არცერთი მათგანი არ შერჩენია საფეხბურთო ოლიმპს იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც მეტიუზი შემორჩა. სტენლი მეტიუზი ბრიტანეთის პატარა პროვინციულ ქალაქ სტოკ-ინ-ტრენტინში დაიბადა მოკრძალებული დალაქის ოჯახში. მას მეტსახელად **“დრიბლინგის ოსტატი”** დაარქვეს. მეტიუზის შესაშური ტალანტი და რეპუტაცია ოდნავადაც არ შესუსტებულა მაშინაც კი, როცა თავისი კარიერის დასასრულს იგი დაბრუნდა გუნდ **“სტოკ-სიტიში”**, სადაც მან საფეხბურთო კარიერა დაიწყო და დაეხმარა გუნდს დეპრესიისაგან თავის დაღწევაში. შედეგი გახლდათ ის, რომ **“სტოკ-სიტი”** მეორე ლიგიდან კვლავ პირველ ლიგას დაუბრუნდა.

ამის შემდეგ სტენლი მეტიუზმა დაასრულა თავისი საფეხბურთო კარიერა. მის ასაკში მსგავსი რამ მსოფლიოს არცერთ უდიდეს ფეხბურთელს არ გაუკეთებია. იგი დიდი ფეხბურთის მოედანს 50 წლის ასაკში გამოეთხოვა. სტენლი მეტიუზი წავიდა ისე, როგორც ღირსეულ სპორტსმენსა და ადამიანს ეკადრება – დიდებითა და სიყვარულით მოსილი. ხალხი შეგუებული იყო იმას, რომ მათი საყვარელი ფეხბურთელი ბუცებს კედელზე ჩამოკიდებდა, მაგრამ მისმა წასვლამ მაინც დიდად ატკინა გული გულშემატკივრებს. მის გამოსამშვიდობებელ მატჩში მონაწილეობა მიიღეს არანაკლებ ღირსეულმა ფეხბურთელებმა: ალფრედო დი სტეფანომ, ფერენც პუშკაშმა და ლევ იაშინმა. სტენლი მეტიუზმა თავის აქტიურ საფეხბურთო კარიერაში ჩადო მთელი გული. მან ფეხბურთს დაუთმო ყველაფერი. საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, მან მაინც ვერ შესძლო ფეხბურთთან განშორება და გახდა ერთ-ერთი საფეხბურთო კლუბის **“პორტ ვეილის”** მთავარი მწვრთნელი. თუმცა, თვრამეტი თვის შემდეგ მან უარი თქვა **“პორტ-ვეილის”** მწვრთნელობაზე და ჩაატარა მსოფლიო ტურნე აფრიკის ქვეყნებში მწვრთნელობის მუშაობის სახით და რამდენიმე საჩვენებელი მატჩიც გამართა.

30-40-იან წლებში სტენლი მეტიუზის დარი ფეხბურთელი არ მოიძებნება. იგი ძლიერი მარჯვენა თავდამსხმელი იყო. სტენლი მეტიუზი მრავალი გულშემატკივარი ოცნებობდა, რომ მათი ფავორიტი გამხდარიყო ინგლისის თასის მფლობელი, თუმცა 1948-51 წლებში მათ ეს იცნება არ აუხდათ, რადგან იმ პერიოდში თასის მფლობელები გახდნენ **“მანჩესტერ იუნაიტედი”** და **“ნიუკასლი”**, მაგრამ 1953 წელს, 38 წლის სტენლი მეტიუზი მაინც გახდა ინგლისის თასის მფლობელი, როდესაც **“ბლეკპულმა“** სძლია **“ბოლტონს”**. მართლაც ენით აუწერელი იყო მეტიუზის წვლილი ამ მატჩში. მატჩის დამთავრებამ სამი წუთით ადრე, მეტიუზის მონდომების წყალობით, **“ბლეკპულმა”** მოახერხა ორი ბურთის გატანა.

სტენლი მეტიუზი იყო ფეხბურთის რაინდი, რაც იმაშიც გამოიხატა, რომ 33-წლიანი საფეხბურთო კარიერის მანძილზე მას არ მიუღია არც ერთი ყვითელი ბარათი. სტენლი მეტიუზი იყო ფეხბურთის ნამდვილი ჯენტლმენი. იგი გარდაიცვალა 2000 წლის თებერვალში და მისმა გარდაცვალებამ ღრმად დაამწუხრა არა მხოლოდ ფეხბურთის სამყარო.

მოკლე ბიოგრაფია

დაიბადა 1915 წელს. 1932 წელს ხელი მოაწერა პროფესიონალურ კონტრაქტს კლუბ **“სტოკ-სიტისთან”**. 1934 წელს დებიუტი ჰქონდა ნაკრებში ინგლის-უელსის მატჩის დროს, რომელიც კარდიფში დამთავრდა ინგლისელთა გამარჯვებით 4:0. 1946 წელს შეიძინა **“ბლეკპულმა“** 11.500 ფუნტ სტერლინგად. 1948 წელს ითამაშა გადამწყვეტი როლი იტალიელებთან ტურინში გამართულ მატჩში, რომელიც ინგლისელთა გამარჯვებით დასრულდა, მეტიუზი კი აღიარებული იქნა წლის საუკეთესო ფეხბურთელად. 1953 წელს **“ბლეკპულმა”** დაამარცხა **“ბოლტონი“** თასის ფინალში. 1955 წელს ინგლისმა საჩვენებელი მატჩი ჩაატარა მოზამბიკთან, რომელსაც მაყურებლის რანგში ესწრებოდა მომავალში ასევე უდიდესი ფეხბურთელი ეუსებიო. 1957 წელს ჩაატარა ბოლო, 84-ე მატჩი ინგლისის ნაკრებში, სადაც დამარცხდნენ დანიელები. 1961 წელს მეტიუზი დაბრუნდა **“სტოკ-სიტიში”** და 46 წლის ასაკში გუნდი დააბრუნა პირველ ლიგაში. 1965 წელს მეტიუზმა საფეხბურთო კლუბ **“ვიქტორია გრაუნდში”** დაასრულა საფეხბურთო კარიერა.

სტენლი მეტიუზისადმი გამოსამშვიდობებელ მატჩში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოში სახელგანთქმულმა ფეხბურთელებმა. იგი გახლდათ ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც ორმოცდაათი წლის ასაკში გამოდიოდა დიდ საფეხბურთო მოედანზე და ტოლს არ უდებდა მასზე ბევრად ახალგაზრდებს. მსოფლიო ფეხბურთში შეტანილი დიდი წვლილისათვის იგი ინგლისის დედოფლის მიერ დაჯილდოებული იყო **“სერის”** ტიტულით.

იუმორი

ფსიქიატრიულში პალატებს ამოწმებენ. ჩაუარეს ერთ პალატას და ექიმმა შემმოწმებელს გადაულაპარაკა:

– ამ პალატაში წევს კაცი, რომლის ცოლიც სხვას გაჰყვა.

გაიარეს ცოტა და ახლა სხვა პალატას მიადგნენ. ექიმმა კვლავ გადაულაპარაკა:

– ამ პალატაში კი, ის სხვა გახლავთ!

* * *

ადამიანის ორგანოები ქეიფობენ. წამოდგა სადღეგრძელოს სათქმელად ადამიანის ყური:

– ეს ჩვენ, ყურებს გაგვიმარჯოს, რადგან ადამიანს ჩვენი მეშვეობით სმენა შეუძლია!

წამოდგა თვალი:

– ეს თვალებს გაუმარჯოს, რადგან ჩვენი მეშვეობით ადამიანი ხედავს.

წამოდგა კაცის სასქესო ორგანო...

– შენ? შენ ნუ დგები, დაჯექი! თორემ შენ როცა დგები, ყველანი შენს ჭკუაზე დავდივართ...

* * *

წითელქუდა ეკითხება ბებიას:

– ბებო, რატომ გაქვს ასეთი გრძელი ცხვირი, ხშირი წარბები და ულვაშები?

– იმიტომ, რომ სომეხი ვარ!

* * *

– როგორ ცხოვრობთ შენ და შენი ცოლი, არ ჩხუბობთ?

– როგორც ორი მტრედი: ხან მე მივფრინავ, ხან ჩემი ცოლი...

სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწყვეტების ბეჭდვას “ეფრემ ვერდის” წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ.

გველი თუ მოჰკალი – უთუოდ მტერს მოერევი;
გველთან ლაპარაკი – მეტად კარგ რამეს მოასწავებს;
გაკრეჭილი შენი თავი ნახო – ძალიან ცუდი ამბავია;
გაფრენა შენი თავისა – სიხარულისა და შორს წასვლის ნიშანია;
გამხიარულება საწყალ ვინმესი – კარგი და კეთილია;
გვრიტის დაჭერა – ვისმეს სიყვარულს გულში ჩაიდებ;
გზად წასვლა – ცუდ და მავნებელ საქმეს ნიშნავს;
გზიდან დაბრუნება – კარგია და ფათერაკი კაცსა ასცდეს;
დათვის ხმა თუ გაიგო – ახალ ამბავს გაიგებ;
დიდი ქარიშხალი თუ ნახო – დიდი არეულობის და ჩხუბის ნიშანია;
დამარხვა მკვდრისა – საწადელი აგისრულდეს;
დახრჩობა – ავი ამბავია, ანუ კარგი რამ ნივთი დაგეკარგოს.

ძველი ევროპელები კაყიჯამიები ყოფილან

გერმანიის დასავლეთით, იქ, სადაც ეს ქვეყანა საფრანგეთსა და ლუქსემბურგს ესაზღვრება, მეცნიერებმა კანიბალთა გრანდიოზული ღრეობების კვალი აღმოაჩინეს. მსოფლიო ისტორიაში მსგავსი მაგალითი ევროპის კონტინენტზე ჯერ არ ყოფილა.

ქვის ხანის სადგომ ჰარკსჰაიმზე არქეოლოგებმა თხრილებში ათიათასობით ადამიანის ჩონჩხის ნარჩენები იპოვეს. მათზე აღმოჩენილი დაზიანებები, სწავლულთა ერთსულოვანი აზრით, სიკვდილის შემდეგ არის მიყენებული.

დაახლოებით შვიდი ათასი წლის წინათ პირველყოფილი ადამიანები ამ ადგილას დამკვიდრდნენ და დასახლება ააშენეს, რომელშიც თორმეტიოდე სახლი იყო. გათხრების პირველი სერია აქ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩატარდა. არქეოლოგებმა მაშინვე მიაქციეს ყურადღება ჩონჩხებზე მრავალრიცხოვან ტრავმებს, მაგრამ ისინი იქ მომხდარი ტომთაშორისი შეტაკებების მოწმობად მიიჩნიეს. 2008 წელს კი ანთროპოლოგმა ბრუნო ბულესტენმა ბორდოს უნივერსიტეტიდან გამოარკვია, რომ ჩონჩხის 2000-მდე ფრაგმენტი მხოლოდ ათიოდე ადამიანს ეკუთვნოდა.

– ამ ძვლებს ამტვრევდნენ, ჭრიდნენ, ფხეკდნენ,– განმარტა მეცნიერმა, – სხეულებს ანაწევრებდნენ, ხორცს აჭრიდნენ, თავის ქალადან ტვინს იღებდნენ. თხრილში ნაპოვნი დანარჩენი ძვლების შემდგომმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მათაც იგივე ბედი ეწია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ დასახლება მხოლოდ ნაწილობრივ გაითხარა, აქ, ალბათ, ათასზე მეტი ადამიანია მოკლული და შეჭმული. ნეოლითის ხანის დასავლეთ ევროპაში კანიბალიზმის კვალი საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროზეც აღმოჩნდა. თუმცა მასშტაბი ჰარკსჰაიმის დასახლებას ვერც შეედრება.

გათხრების ადგილას ნაპოვნი თიხის ნამტვრევების ანალიზმა ცხადყო, რომ კანიბალიზმის პერიოდი 50 წელზე მეტ ხანს არ გაგრძელებულა. ანუ, როგორც ჩანს, ადამიანებს ხოცავდნენ არა შიმშილის გამო, არამედ რიტუალური მიზნით: როგორც ჩანს, ჩვენი წინაპრები ასე განამტკიცებდნენ თავიანთ გამარჯვებას და მოწინააღმდეგის შეჭმით მის ძალასა და სიმამაცეს ისაკუთრებდნენ.

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართია: თბილისი, მესამე ნადიკვარის №11
სარეგ.№01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი

anaklia@.web.de
e-mail:elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
899-57-33-22
72-37-35
38-41-97